ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 18 მარტი, 2013 №64 (6065) ფასი: 30 თეთრი

18 მარტიდან!
„ახალი თაობა“ +
სერია „დიდი ქართველები“
ივანე ჯავახიშვილი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




# „პრეზიდენტი ღარიბაშვილისა და წულუკიანის დათხოვნას ვერ გაბედავს“

„19 აპრილი — ეს იქნება ვანოს შოუ“ გვ.3



გვ.2

## რატომ თქვა ენერგეტიკის სამინისტრომ უარი გაზის ტარიფის 14 თეთრით შემცირებაზე

ეკონომიკა ჯერ ისევ ნაციონალების ხელშია



გვ.5

## თემურ შაშიაშვილი: „მოსკოვი სააკაშვილის პირად საქმეს მალავს“

ვის სადღეგრძელოს სვამდა გოგი უგულავა მოსკოვში

## სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქციებით იმუქრებიან

გვ.4

## რამაზ საყვარელიძე: „გამაგებინეთ, სააკაშვილი ევროპული ღირებულებებით არღვევდა ადამიანის უფლებებს?!“



გვ.6

## ნაციონალები ოპონენტებს ევროპარლამენტარების დახმარებით ებრძვიან



გვ.5

## თეა წულუკიანი: „პრეზიდენტის ძმა მოსამართლეთა მძეველი არ უნდა იყოს“



გვ.3

ბილაინი ექვსი წლისაა

ბილაინი®

გვ.7

15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი




**7** მე-17 საუკუნეში ჩარჩენილი ოჯახი

**2** თეიმურაზ მურვანიძე: „ვანო მერაბიშვილი პასუხს აუცილებლად აგებს!“

**6** ზურაბ ბერუაშვილი: „არავის ვუცემივარ, ძველი დრო ხომ არაა, თქმის მეშინოდეს!“

**3** პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას იწყებს

ISSN 1987-9385

# რატომ თქვა ენერგეტიკის სამინისტრომ უარი გაზის ტარიფის 14 თეთრით შემცირებაზე

## ეკონომიკა ჯერ ისევ ნაციონალების ხელშია

შორენა კოწოწაშვილი

**რა შეცდომა დაუშვა კახი კალაძის უწყებამ, ვინ მართავს ქვეყნის ეკონომიკას და უნდა წავიდეს თუ არა ივანიშვილის მთავრობა წინა ხელისუფლების სასარგებლოდ ეკონომიკურ ამნისტიაზე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული ოცნების“ ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელ ᲓᲔᲛᲣᲠ ᲒᲘᲝᲠᲮᲔᲚᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.**



***— ბატონო დემურ, უნდა წავიდეს თუ არა ივანიშვილის მთავრობა ეკონომიკურ ამნისტიაზე, რომელსაც ულტიმატუმის სახით საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით უყენებს უმრავლესობას პრეზიდენტი და მისი გუნდი?***

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ: რა სტრუქტურა გვქონდა ეკონომიკის ბოლო 9 წლის განმავლობაში, რომელიც მთლიანად ხელისუფლების ხელში იყო. ის იყო ეკონომიკის სრული ბატონ-პატრონი. ბუნებრივია, მათი ნებართვის გარეშე ვერავინ შეძლებდა რაიმე სერიოზული ბიზნესის კეთებას. შეგნებული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ მთელი ეკონომიკა სეგმენტირებულ იქნა ცალკეული გავლენის ჯგუფების მიხედვით, ყველას თავისი განესაზღვრა. მათ შორის ყველაზე დიდი ხელისუფლების ხელდასმული ბიზნეს-ჯგუფები იქნა გაჩენილი. ესეც არ იყო შემთხვევითი. ისინი შეგნებულად აშენებდნენ სახელმწიფო კორპორაციას და ეს საზოგადოებისთვის არ დაუმალავთ ანუ ეს არის გარკვეული ჯგუფის მფლობელობაში არსებული ქვეყანა. ეს ქვეყანა მათ „დიდმა კაცმა“ გადასცა. ამდენად, სხვა ყველა დანარჩენი, ვინც ამ ათას კაცზე გარეთ იქნებოდა, იყვნენ კლიენტები ამ კორპორაციისა. თუ რამე უნდათ, მოვიდნენ და იყიდონო. ამ მოდელში ისინი სწორად მოქმედებდნენ, პრივილეგირებულ ფენას აჩენდნენ. ახლა დაირღვა ეს ყველაფერი. ყველა ვარიანტში უნდა დანგრეულიყო. ივანიშვილის დამსახურებაა, რომ ეს უსისხლოდ მოხდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი ხალხი დიდი სისხლის ფასად, მაგრამ მაინც დაანგრევდა ამ სისტემას. დღეს ვართ იმ რეალობის წინაშე, რომ შეიძლება ხელისუფლებამ მოსთხოვოს პასუხი ფინანსურ სამრეწველო ჯგუფებს, რომელთა შემოწმების შემდეგ, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ძალიან ცუდი შედეგები დადგება. ამიტომაც შეფერხდა დღეს ეკონომიკის განვითარება. ეკონომიკური ჯგუფები დღეს იმიტომ არ აქტიურობენ, რომ გაურკვევლობაში არიან. ახალი ბიზნეს-ჯგუფები ჯერჯერობით ვერ გაჩნდა და არც გააჩენენ. მახინჯი საბანკო სისტემა არ დაუშვებს, გარდა საკუთარი ჯგუფებისა და ბიზნესებისა, რომელსაც თავად აფინანსებენ, სხვა კონკურენტი საღი ჯგუფის გაჩენას. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში მთავრობა ძალიან ჩიხურ მდგომარეობაშია. მან ან სამართლიანი ნაბიჯი უნდა გადადგას და, განურჩევლად გვარ-სახელისა, კანონის მოთხოვნა განახორციელოს; სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამართლიანობის აღდგენა უნდა მოახდინოს; მეორე მხრივ, ამას მოჰყვება უამრავი ადამიანის ციხეში წასვლა, მათ შორის იმ მსხვილი ბიზნესებიდან, რომლებსაც, დამერწმუნეთ, 9 წლის განმავლობაში ასობით მილიონი არ აქვთ გადახდილი სახელმწიფო ბიუჯეტში, საქონლის განბაჟებას არ ახდენდნენ; მთელი იმპორტი და სახელმწიფო შესყიდვები მათი იყო. მე, როგორც კონტროლის პალატის ყოფილ ერთ-ერთ ხელმძღვანელს, დიდი სიზუსტით შემიძლია გითხრათ, რა იქნება იქ, როცა სწორი, სამართლიანი, ობიექტური საფინანსო შემოწმება ჩატარდება. ბუნებრივია, წინა ხელისუფლება იცავს თავის ხალხს, იმიტომ რომ ამას სერიოზული გართულებები მოჰყვება, რადგან ადამიანები, რომლებიც მიმწყვდეული იქნებიან კუთხეში, დაიწყებენ მოყოლას იმისა, თუ რა იყო. ამნისტია არის პოლიტიკური აქტი ოპოზიციის ლიდერების მხრიდან, თუმცა ჩვენ სწორად უნდა დავინახოთ, რომ ამნისტიით არა ყველანაირი ეკონომიკური დანაშაული უნდა იქნეს ამნისტირებული, არამედ ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების ქმედებებისგან იყვნენ დაზარალებული; არის უმნიშვნელო ფინანსური დარღვევები, რომელზეც შეიძლება, სულაც ამნისტია გამოცხადდეს, მაგრამ წითელი ხაზი უნდა გაევლოს. არის დანაშაული, რომელიც წინასწარ უნდა ითქვას, განურჩევლად რომელიმე ჯგუფისა, რომლის პატიებაც არაფრით არ შეიძლება, რადგან ფინანსური დანაშაულები დღეს ყველაზე მძლავრი, ღრმად პროფესიული და კარგად დაგეგმილია მთელ მსოფლიოში, საქართველოში — მით უმეტეს. ეს ფინანსური დანაშაულები გაანულო, აბსოლუტურად არასწორი იქნება; მეორე მხრივ, ეს ურტყამს ჩვენს პერსპექტივასა და სახელმწიფოებრიობას. თუ ყოველი ახალი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების ზეწოლით იძულებული იქნება, ამნისტიები აცხადოს, მაშინ ჩვენ ვერ გავალთ კანონიერების რეჟიმზე, ვერ გავალთ მემკვიდრეობითობაზე. რას ნიშნავს — შენ მოდი, დანაშაული გაქვს ჩადენილი და ახლა გინდა, ეს გადაიფაროს. ამით ჩვენ დავარღვევთ იმ მთავარ პრინციპს, როდესაც ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში ახალი ხელისუფლება არის ძველის მაკონტროლებელი და, თუ რამე დანაშაული აქვს ხელისუფლებას, უნდა გამომზეურდეს. ეს პრინციპი თუ დაირღვა, დავარღვევთ შემაკავებელ ძალიან ძლიერ მექანიზმს.

***— იმაზე მიანიშნებთ, რომ ეკონომიკა ჯერ ისევ მთლიანად სააკაშვილის ხელისუფლების ხელშია?***

— რა თქმა უნდა, მთლიანად.

***— ვანო მერაბიშვილი და სააკაშვილი მუდმივად იმაზე მიანიშნებენ, რომ ეკონომიკური განვითარება შეფერხდა, ფინანსური კრიზისია და ა.შ. გარკვეული საბოტაჟის ნიშნებს ხომ არ აქვს ადგილი წინა ხელისუფლების მხრიდან? ნაციონალებს ამის ბერკეტები ჯერ კიდევ აქვთ?***

— მე ღია წერილით მივმართე პრემიერ-მინისტრს ჩემს გვერდზე და დავუწერე სტაბილური, ფეხზე კარგად მდგომი ბიზნესმენის თავგადასავალი თანამედროვე ქართულ მახინჯ საბანკო სფეროში, როდესაც კაცს ფანტასტიკურ რაღაცებს სთხოვენ, რაც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. ეს, ცხადია, კრეტინიზმი არ არის. ეს შეგნებული საბოტაჟის ნიშნებია, თანაც, ეს არის ნიშნები, რომ ბანკები, რომლებსაც წინა ხელისუფლებამ მისცა ეს ჩაკეტილი სივრცე, ჩააყენა პრივილეგირებულ მდგომარეობაში რამდენიმე ბანკი, მისცა ბიზნესები — ყველაფერს ისინი ფლობენ, სადაზღვევო სფერო მთლიანად თავისია, უკვე სამედიცინო სფეროში გადაინაცვლეს. მათია, თუ სადმე ფულის გამომუშავება შეიძლება. ამიტომ ეს ბანკები არავის მისცემენ სესხს, რადგან არ უნდათ კონკურენტი. ამიტომ, გამორიცხულია, ეკონომიკა განვითარდეს ის სისტემაში, რაც ჩვენ გვაქვს. მე მივმართე პრემიერს და ვუთხარი: მთავრობის ნებისმიერი გადაწყვეტილება განწირულია მარცხისათვის ან დაბალეფექტიანი საქმისათვის, თუ სისტემა არ დაინგრა. სისტემა კი ჯერჯერობით ხელუხლებელია, თანაც მე არ დამიმალავს და დროულად ვუთხარი ისიც, რომ საკმაოდ არაკეთილსინდისიერი ადამიანებიც არიან ამ ახალ ხელისუფლებასთან მიტმასნილი; მათ შორის პრემიერის სახელსაც საკმაოდ ბოროტად იყენებენ. ისინი ცდილობენ, დაარეგულირონ ახალი ვითარებები, ახალი სიტუაციები ანუ თამაშის წესების შეუცვლელად გახდნენ ამ მძარცველური, უკვე კარგად აწყობილი სისტემის თანამონაწილენი. მე მგონი, ვიღაცას გამოსდის ეს, ვიღაცას — ჯერჯერობით არა. მთავარია, ეს სისტემა დაინგრეს.

***— რა გზით უნდა დაინგრეს, ამის სურვილი ჯერ არ იკვეთება?***

— ეს უნდა დაინგრეს არა ადმინისტრაციული, მბრძანებლური მეთოდების მეშვეობით, არამედ სამართლებრივად, საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ნიშნებით ანუ კონკურენციის გამძაფრებით, საერთო პირობებით ინფრასტრუქტურის დაცვით ხელისუფლების მიერ.

***— ცნობილია, რომ ქვეყნის გარეთ ძალიან დაბალ პროცენტში მოზიდულ თანხებს ქართული ბანკები საკმაოდ მაღალი პროცენტით გასცემდნენ. ეს სერიოზულად შეკრული წრეა?***

— უფრო მეტსაც გეტყვით, ახლაც შეკრული წრეა. საბანკო სფერო ფარულად თუ ღიად აფინანსებს იმ მახინჯ საფინანსო სისტემას, რომელმაც უკვე ყაჩაღურ დონეზე აიყვანა ეს საპროცენტო განაკვეთები, თვეში 3-4%. ეს მინიმალურ პროცენტს გეუბნებით, პლუს იპოთეკებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია. მე მთავრობას ვთხოვდი, ეფიქრა, რას ფიქრობს ის, რა პოლიტიკური სიტუაცია შეიძლება იყოს დაძაბული, როდესაც ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩება. სახელმწიფო, სადაც არ არსებობდა უსახლკარობის პრობლემა 20 წლის წინ, დღეს სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. ეს ხელშეწყობილია იმ ფინანსური ჯგუფების მიერ მძარცველური მიდგომით საკუთარი ხალხისადმი, როდესაც ქონების დაპატრონებაზე სწორედ მიზანმიმართული ნაბიჯები იდგმება.

***— საზოგადოება ახალი ხელისუფლებისგან ბევრს ელოდა. დღეს ბევრი ამბობს, მხოლოდ ტარიფების შემცირებისთვის არ მოგვიყვანია ახალი ხელისუფლება...***

— პირველი ნაბიჯი, რომელიც რეალურ შედეგზე იყო გათვლილი, ტარიფების საკითხი იყო. აქ მთავრობამ ძალიან სუსტი ნაბიჯი გადადგა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პრემიერ-მინისტრი ამაზე მოწადინებული იყო, მაგრამ მის ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებიც მას არასწორად აწვდიდნენ და უხატავდნენ ამ სფეროს, მაშინ როდესაც ჩვენ ივანიშვილის დაფუძნებულ საზოგადოებრივ მოძრაობაში ყველაფერი შესანიშნავად გავთვალეთ, დავდეთ ეს გაანგარიშებები. მას გვერდი ვერ აუარეს, მაგრამ გადაწყვეტილება სანახევროდ მიიღეს. ძალიან დაბალი შემცირება ელექტროენერგიაში იქნა მიღებული, მახინჯი ფორმა დაწესდა ტარიფებისა; მეორე მხრივ, ეს არ შეეხო მრეწველობას, მცირე და საშუალო ბიზნესს. ჩვენ სწორედ ამაზე ვთვლიდით. ჩვენ დაბალ ტარიფს არ მოვითხოვდით. საკმაოდ მაღალ ტარიფს მოვითხოვდით — 11 თეთრს. თუ ყველაფერი გასწორდებოდა და ყველას ერთნაირი ტარიფი ექნებოდა, შეიძლება, 12 თეთრიც ყოფილიყო. გაჭირვებულ ადამიანებს სუბსიდირებას მიზანმიმართულად გავუკეთებდით. ამ ვითარებაში კი ბიზნესი ამოისუნთქებდა. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, აქ, უბრალოდ, არასერიოზული გადაწყვეტილება მიიღო ენერგეტიკის სამინისტრომ, როდესაც მხოლოდ 10%-ით შეამცირა, ეს მაშინ, როდესაც არაფერი უდგას წინ გაზის ტარიფის 14 თეთრით შემცირებას. ჩვენი გაანგარიშებით, ვთქვით, 36 თეთრი იყოს გაზის ტარიფი, აქედან 5-6 თეთრი ინფრასტრუქტურაზე წავიდეს, რომ ეს მოძველებული სისტემა შევცვალოთ. მაგრამ ასეთ არსებით მომენტში, რომელსაც შეეძლო, უზარმაზარი სტიმული მიეცა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, სამწუხაროდ, ენერგეტიკის სამინისტრო ამაზე არ წავიდა. ტარიფები დიდი პოლიტიკის საკითხია. ეს არის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხი. აქ ვიღაც ინტერესთა ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება უზარმაზარი შეცდომაა.

# „ვანო მერაბიშვილი პასუხს აუცილებლად აგებს!“

შორენა კოწოწაშვილი

**დაუშვა თუ არა შეცდომა ბიძინა ივანიშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან მისვლითა და მოლაპარაკებებით და რევანშის რა რესურსი აქვთ ნაციონალებს? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „საქართველოს გზის“ თავმჯდომარე ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.**

***— ბატონო თემურ, როგორ შეაფასებდით ვენეციის კომისიის დასკვნას და რომელი მხარე იქნება მოგებული ამ რეკომენდაციების აღსრულებით: ხელისუფლება თუ უმცირესობა?***

— ვენეციის კომისიის დასკვნა ძალიან პოზიტიურია და მათი რეკომენდაციები მიმართულია იქითკენ, რომ დაცული იყოს ძალთა ბალანსი; რომ კონსტიტუციაში არ იყოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების შემაფერხებელი მექანიზმები. სხვათა შორის, ნაციონალურ მოძრაობას, მათ ლიდერებს თავის დროზე რომ გაეთვალისწინებინათ ვენეციის კომისიის უამრავი რეკომენდაცია, ახლა გაცილებით უკეთესი კონსტიტუცია, უფრო ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები გვექნებოდა და გვექნებოდა და ხელისუფლებო შტოებს შორის უფრო დაბალანსებული ურთიერთობები გვექნებოდა. ყველას კარგად გვახსოვს, და ვიცით, რომ სააკაშვილის მთავრობის სურვილი ეს არ იყო. ისინი აშენებდნენ დემაგოგიასა და უზნეობაზე დამყარებულ ტოტალიტარულ რეჟიმს, რომელმაც ვერ მიაღწია დიქტატურამდე, რადგან ამის თავიც კი არ ჰქონდათ ყოფილი მმართველი ძალის რეპუტაციაშელახულ სახეებს. მიხეილ სააკაშვილი კი ვერშემდგარი დიქტატორია, რომელიც იმ მცირე ბერკეტებსაც კი, რაც დარჩა, სავაჭროდ და ახალი ხელისუფლების შანტაჟისათვის ურცხვად იყენებს. მინდა პირდაპირ განვაცხადო, რომ ამ ცვლილებებით მოგებული დარჩება საქართველოს მოსახლეობა, ახლანდელი მმართველი ძალა და ის ადამიანები, ვინც ამ ცვლილებებს ეწინააღმდეგება, მათ შორის უმცირესობასაც ვგულისხმობ. ისინი კარგად უნდა ხედავდნენ, რომ თავისუფალი სასამართლო, პირველ რიგში, მათ ინტერესებშია, მაგრამ მათ ამის დანახვის და გააზრების უნარი არ გააჩნიათ. მათ ჰგონიათ, რომ ეს „ჯიუტობა“ და საბოტაჟის მცდელობები მათ რაიმე გარანტიების მიღების საშუალებას მისცემს, თუმცა ეს გამორიცხულია და მათი მორიგი ილუზიაა.

***— უმრავლესობის წევრი კობა დავითაშვილი პრემიერის მხრიდან კოტე კუბლაშვილთან მისვლას შეცდომად აფასებს. ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი კი ამას უმრავლესობისა და უმცირესობის „პოლიტიკურ ქორწინებას“ უწოდებს. რამდენად სწორად მოხდა ბიძინა ივანიშვილის ამ ნაბიჯის გაგება?***

— რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს საკუთარი შეხედულება ამ საკითხზე, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ის ნაბიჯი, რაც პრემიერ-მინისტრმა გადადგა, დასაფასებელია. დარწმუნებული ვარ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილისთვის ეს იყო ბოლო შანსი, რომ ბოლოს და ბოლოს, დამდგარიყო მოწოდების სიმაღლეზე, უარი ეთქვა ვიწრო პარტიული ინტერესებით მოქმედებაზე (რაც სხვათა შორის, მიუღებელია მის თანამედროვე მდგომარეობასთან), უარი ეთქვა პოლიტიკური დაკვეთების შესრულებაზე და კეთილსინდისიერად გაეგრძელებინა მოღვაწეობა. ეს გახლავთ ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც ცხოვრებაში ადამიანს კიდევ ერთი, სერიოზული შანსი ეძლევა, რომ სწორად წარმართოს მომავალი ცხოვრება. ამ პოზიცი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას იწყებს

დღეიდან პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას იწყებს. როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ დღეს „პირველი რადიოს“ რადიო-კლუბში განმარტა, მთავარი საკითხი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო განიხილავს, პრეზიდენტის იმ უფლებმოსილების შეზღუდვაა, რომლითაც მას მთავრობის და პარლამენტის დათხოვნა შეუძლია.

„გვინდა შევზღუდოთ სააკაშვილის განუსაზღვრელი უფლებამოსილება და მოვაშოროთ ის უფლება, რომ არ შეეძლოს მთავრობის დათხოვნა და საკუთარი მთავრობის ერთპიროვნულად შექმნა. ჩვენ ასევე ვფიქრობთ, რომ გავითვალისწინოთ არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრება, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ასევე არ შეიძლებოდეს პარლამენტის დათხოვნა“, – განაცხადა ბესელიამ.

**პირველი**

## თეა წულუკიანი: „პრეზიდენტის ძმა მოსამართლეთა მჭედელი არ უნდა იყოს“



იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, „პრეზიდენტის ძმა მოსამართლეთა მჭედელი არ უნდა იყოს“. ამის შესახებ წულუკიანმა მოსამართლეთა კორპუსთან შეხვედრაზე სიტყვით მიმართვისას განაცხადა. წულუკიანი მიესალმა იმ ფაქტს, როცა ხელისუფლებიც ცვლილების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორმა დავით სააკაშვილმა თანამდებობა დატოვა.

„მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ კანონპროექტის შემდეგ მომდევნო ეტაპი იუსტიციის უმაღლესი სკოლის ძირეული რეფორმა იქნება. ადრე, როცა ბავშვებს და სტუდენტებს ეკითხებოდნენ, ვინ უნდოდათ გამოსულიყვნენ, პირველ რიგში, პასუხობდნენ, რომ სურდათ მოსამართლეები გამხდარიყვნენ. დღეს ეს სამწუხაროდ, ასე არ არის და ჩემი მიზანია, რომ ისევ ასე იყოს და ამაში სკოლამ უნდა ითამაშოს წამახალისებელი როლი. როგორც იცით, სკოლის დირექტორი არჩევნების შემდეგ გადადგა. მე მის საქმიანობას არ ვიცნობ, თუმცა ვიცი, რომ სკოლა შავ დღეშია. რატომ არის დირექტორის გადადგომა კარგი ამბავი? თუნდაც იმიტომ, რომ გარეგნული მხარე ბევრს ნიშნავს და პრეზიდენტის ძმა არ უნდა იყოს მოსამართლეთა მჭედელი. სკოლას უფრო ძლიერი რეფორმა სჭირდება და ამას თქვენთან ერთად შევიმუშავებ“, – განაცხადა წულუკიანმა.

**პირველი**

## შინაგან საქმეთა მინისტრი დღეს პარლამენტის წინაშე წარდგება

საპარლამენტო უმცირესობა დღეს პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ელოდება.



პარლამენტის წინაშე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საანგარიშო მოხსენებით მისვლა და მათ კითხვებზე პასუხის გაცემა, მითუმეტეს როცა ეს უმცირესობის მოთხოვნით ხდება, შეიძლება ითქვას რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენაა და ის მით უფრო საინტერესო იქნება.

როგორც უმცირესობა აცხადებს, მათ მინისტრის მიმართ ბევრი კითხვები აქვთ, რაც პირველ რიგში ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებას და გავრცელებულ ინფორმაციებს პოლიციელთა მიერ კანონდარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით-მოიცავს.

უმცირესობის სხდომა, რომელიც ღარიბაშვილთან შეხვედრას ეძღვნება, პარლამენტში, 15 საათზე გაიმართება. უმცირესობის წევრთა განცხადებითვე, მათი კითხვები შეეხება აგრეთვე 8 თებერვალს, ეროვნული ბიბლიოთეკის წინ მომხდარ ინციდენტსაც, თუმცა როგორც უმრავლესობაში ამბობენ, ამ საკითხთან დაკავშირებით მინისტრი სერიოზული მტკიცებულებებით აღჭურვილი იქნება, რადგან მათი თქმით, უმცირესობა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან პროვოკაციებს თავად გეგმავდა.

ასეა თუ ისე, დღეს, ბოლო პერიოდის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი საინტერესო დღე გველის, თუნდაც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ვანო მერაბიშვილი, პარლამენტარების მიერ 6-გზის დაბარების მიუხედავად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არცერთხელ არ გამოცხადებულა, ირაკლი ღარიბაშვილი კი, ოპოზიციის პირველივე მოთხოვნისთანავე ქუთაისში გაემგზავრა.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, ის კითხვები, რომელიც მის მიმართ პარლამენტს წლების განმავლობაში ჰქონდა, დაწყებული გირგვლიანის საქმიდან, დამთავრებული 2011 წლის 26 მაისით, დღეს ეს კითხვები მერაბიშვილის მიმართ პროკურატურას აქვს.

**ანიუსპრესი**

# გელა ნიკოლაიშვილი: „სააკაშვილი ღარიბაშვილისა და წულუკიანის დათხოვნას ვერ გაბედავს“

## „19 აპრილი — ეს იქნება ვანოს შოუ“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***— ბატონო გელა, იუსტიციის მინისტრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გასულ კვირას უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა ივანიშვილისა და კუბლაშვილის შეხვედრის შემდეგ. ჩვენ პრემიერის კომპლიმენტებიც მოვისმინეთ კუბლაშვილის მისამართით... რა ხდება, კუბლაშვილი მზად არის, გამოიყენოს ის ერთი შანსი, რომელიც ივანიშვილმა მისცა?***

— მე ვფიქრობ, რომ ადამიანებს პირველ რიგში ამოძრავებთ, მოსამართლე იქნება ის თუ ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, საკუთარი ინტერესები. მოსამართლეებს, მით უმეტეს, რომლებიც ყელამდე არიან, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ბევრ ცუდ საქმეში. აქედან გამომდინარე, მათი პირადი ინტერესი არის, რომ ამ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ ამ რეჟიმის წყალობით, რაღაც გონივრული გამოსავალი მონახონ, რომელიც მათთვის კატასტროფით არ დამთავრდება. მე კატასტროფაში არ ვგულისხმობ მხოლოდ სამსახურიდან გაგდებას, მე ვგულისხმობ ციხეში წასვლას. აქედან გამომდინარე, ისინი უნდა იყვნენ მზად იმისათვის, რომ ასეთი გონივრული შეთავაზება მიიღონ.

***— რას გულისხმობს ეს შეთავაზება?***

— არანაირ განსაკუთრებულ ძალისხმევას, უბრალოდ გულისხმობს იმას, რომ ისინი გათავისუფლდნენ დიქტატისგან. ამ დიქტატისგან გათავისუფლების შემდეგ, დაიწყონ მუშაობა ისე, რომ არანაირი პოლიტიკური დაკვეთები არ შეასრულონ. ეს არის ერთადერთი მოთხოვნა და მეტი არაფერი. გარანტია, რა თქმა უნდა, არ ექნებათ, რომ მომავალშიც გააგრძელებენ საქმიანობას, მაგრამ იმის გარანტია ექნებათ, რომ ისინი ნორმალური საზოგადოების წევრები იქნებიან და მათ არც ციხეში გაუშვებენ და არც ისე მოიხსენიებენ, როგორც რეჟიმის შემოქმედები. ისინი მართლაც არიან რეჟიმის მსხვერპლნი. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ რეჟიმის გაძლიერებაში მათ დიდი წვლილი მიუძღვით.

***— შესაძლოა კუბლაშვილს და მის მოსამართლეებს მართლაც მოსწონთ ეს შეთავაზება და ამ შანსს ხელიდან არ უშვებენ, მაგრამ რამდენად გაუშვებს ამ ბერკეტს ხელიდან მიხეილ სააკაშვილი?***

— რა თქმა უნდა, სააკაშვილი შეეცდება, რომ არ გაუშვას ეს ბერკეტი და ამას ცდილობს კიდევაც, მაგრამ მას დარჩა რამდენიმე ხავსი. გარდა თავისი რამდენიმეთვიანი ძალაუფლებისა, ეს არის სასამართლო, ეს არის მერია, ადგილობრივი თვითმმართველობები – გამგეობები და ის მოსყიდული თუ მოტყუებული უცხოელი ე.წ. ექსპერტები, საერთაშორისო დამკვირვებლები, რომლებსაც აბოლებდა და ისინიც ხან დემოკრატიის შუქურას უწოდებდნენ, ზოგი შეცდომაში შეყვანის გამო და ზოგიც კორუფციაში ჩაფლულობის გამო. აქედან გამომდინარე, ეს ხავსები, მე იმედი მაქვს, რომ ხავსებად დარჩება და ხელის მოსაკიდებლად არ გადაიქცევა, იმიტომ, რომ რეალურად ძალიან ცოტა დრო დარჩა მას იმისათვის, რომ თავი მოიმაგროს და ისევ რეაბილიტაცია მოახერხოს. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი არის სასამართლო. შედარებით ყველაზე მძლავრი ხავსია. ჯერჯერობით ის ინარჩუნებს, მაგრამ ისევ ვიმეორებ, მოსამართლეებიც ადამიანები არიან და მათაც თავიანთი ოჯახი და თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. მით უმეტეს, როდესაც მათგან რაიმე განსაკუთრებულს არ მოითხოვენ. მათგან მოითხოვენ უბრალოდ მონობისგან გათავისუფლებას.

***— ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დაიდო ვენეციის კომისიის დასკვნა და იუსტიციის საბჭოს შეცვლაც შეუძლია პარლამენტს...***

— იუსტიციის საბჭოს შეცვლა დიდწილად შეუძლიათ თუ მთლიანად არა, იქ უნდა აირჩიონ მოსამართლეებიდან იუსტიციის წევრები. ეს ერთი და მეორეც, ვენეციის კომისიის რეკომენდაციები – ეს არ არის ცეკას დადგენილება ან ბრძანება. ეს არის რეკომენდაცია, რომლის ნაწილიც შეიძლება გაითვალისწინო, ნაწილი არა. ისე, რომ სულაც არ არის ვალდებული საქართველოს ხელისუფლება იმ ადამიანების რეკომენდაციები გაითვალისწინოს, რომლებიც ზედაპირულად უყურებენ მოვლენებს, ფასადურ დემოკრატიას რეალურად აფასებენ და ის, რაც ციხეებში ხდებოდა, იმაზე მსჯელობდნენ გარეგნულად, რა ლამაზი ციხეები აშენდა და შიგნით რაც ხდებოდა, ეს მარტო ჩვენ ვიცოდით და არც გვიჯერებდნენ და დღესაც არ სჯერათ და იმათი რეკომენდაციები თავიდან ბოლომდე რატომ უნდა გაითვალისწინონ, როცა საქმეში ჩახედული არ არიან.

***— თქვენ, როგორც ერთი ადვოკატი, ფიქრობთ, რომ სასამართლოში შეიცვლება ვითარება?***

— რა თქმა უნდა, მყისიერად არ შეიცვლება, მაგრამ მე მგონია, რომ თანდათანობით შეიცვლება, მით უმეტეს, ახლახან წავიკითხე ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოლო ხანებში 22%-ით იმატა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობამ და ეს ცოტა არ არის. ძალიან მნიშვნელოვანი წინსვლაა.

***— ბატონო გელა, ამ კვირაში პარლამენტში განსახილველი საკონსტიტუციო ცვლილებები შედის, როგორ ფიქრობთ, რამდენად ექნება მხარდაჭერა და რა პროცესებს უნდა ველოდეთ?***

— მე არ გამიკვირდება ის, რომ ეს ცვლილებები გავიდეს და საკმარისი ხმები მოაგროვონ. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ძალიან ზუსტად დაახასიათა ის სიტუაცია, რომ თუ არ გავა, ესეც არ არის რაღაცა საგანგაშო, ეს იქნება წამგებიანი იმათთვის, ვინც ხმას არ მისცემს. იმიტომ, რომ რეალურად მართლაც ასეა, აქ საკითხი დგას მართლაც ერთადერთი, რომ დამოუკიდებლად პარლამენტის გარეშე შეუძლია თუ არა პრეზიდენტს დანიშნოს მთავრობა. აი, ეს არის ალოგიკურობა და კურიოზი, რომელიც ჩოხასავით მორგებული აქვს 2004 წლის შემდეგ სააკაშვილს და ამის გაშვება არ უნდა ხელიდან და დღესაც ვინც აპირებს, რომ პოლიტიკურ საფლავში წაჰყვეს სააკაშვილს, ისინი არ მისცემენ ხმას, ხოლო ხმას მისცემს ის, ვისაც უნდა პოლიტიკურად თავის გადარჩენა. იმიტომ, რომ დღეს სააკაშვილისთვის მხარდაჭერა ნიშნავს მასთან ერთად მოუსავლეთში წასვლას.

***— თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ შესაძლოა საკონსტიტუციო ცვლილებები გავიდეს?***

— კი, მე უფრო მგონია, რომ გავა, თუმცა თუ არ გავა, არც ამის გამო რაიმე საგანგაშო დასკვნების გამოტანის მომხრე ვიქნები. ამით არაფერი არ შეიცვლება, ეს უფრო სიმბოლური კენჭისყრაა, ვინაიდან რომც დარჩეს ეს ძალაში, სააკაშვილი ვერანაირად ვერ გაბედავს, ხელოვნური კრიზისი შექმნას, იმიტომ, რომ ეს იქნება მისი პოლიტიკური სიკვდილის დაჩქარების ტოლფასი.

***— ხომ შეიძლება იფიქროს, რომ სულ რამდენიმე თვე დამრჩა და ამათაც თან გავიყოლებო...***

— შეიძლება, არაფერი გამორიცხული არ არის, თუმცა ეს არის, როგორ გითხარით, პოლიტიკური ცხოველი, რომელიც ინსტინქტებით გრძნობსნ სად არის მისთვის მომგებიანი და რა არის წამგებიანი. თავისთვის წამგებიან ნაბიჯს ის არ გადადგამს, სააკაშვილი არ ფიქრობს, რომ მოუსავლეთში წავა. ასე რომ ფიქრობდეს, მაშინ პირველ ოქტომბერსაც არ გადააბარებდა ხელისუფლებას და ყველაფერს გააკეთებდა, მაგრამ რომ დაინახა, ეს მისთვის წამგებიანი იქნებოდა, ამიტომ გადააბარა. დღესაც, როცა დაინახავს, რომ ხელოვნური კრიზისის შექმნა მისთვის წამგებიანი იქნება და პოლიტიკური გვამი აღმოჩნდება, ის ურჩევნია, რომ ისევ დემოკრატობანა ითამაშოს დასავლეთის თვალში, რადგან მათი ნაწილის თვალში ისევ ასეთი ჩანს და შეინარჩუნოს მომავალი. პოლიტიკური ცხოვრება იქნება თუ უცხოეთში ცხოვრება, რომ აი, სამაგალითო პრეზიდენტი, რომელიც წავიდა ხელისუფლებიდან პირველი, პოსტსაბჭოთა სივრცეში ისე, რომ არც რევოლუცია მოუხდენია და არც გადატრიალება და ამით შეეცდება იმიჯის შენარჩუნებას. რომ წავიდეს დასავლეთში და ლექციები იკითხოს, როგორც დემოკრატმა პრეზიდენტმა, დასავლეთის თვალში ის ისევ დემოკრატიის შუქურად დარჩება. სხვა საქმეა, რომ საქართველოში ის აუცილებლად გასამართლდება დაუსწრებლად თუ დასწრებულად, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი. თუმცა ის ყველანაირად შეეცდება იმიჯი შეინარჩუნოს დასავლეთის თვალში, რაც, ალბათ, გადაარჩენს და ექნება რაღაცა გარანტიები, რომ ის არ იქნეს გასამართლებული.

***— შესაძლოა იმასაც ფიქრობს, რომ სამომავლოდ კვლავ დარჩეს პოლიტიკაში...***

— ესეც არ არის გამორიცხული, რომ ფიქრობდეს მომავალში პოლიტიკაში დარჩეს, თუმცა რეალობას ყველანი ვხედავთ და ექვს თვეში, ან ერთ წელში, რომ მან ნაცმოძრაობის რეანიმაცია მოახერხოს, ეს ყოვლად წარმოუდგენელია. მე ადრეც მითქვამს, ბიძინა ივანიშვილზე რაც არ უნდა გულგატეხილი იყოს ხალხი, ისინი სააკაშვილის მომხრეებად არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ იქცევიან. ვიღაცა სხვა ძალას დაუჭერენ მხარს და არა ნაციონალებს.



***— ბატონო გელა, ოქრუაშვილის განცხადებებიც მოვისმინეთ და ის არ გამორიცხავს, რომ მიხეილ სააკაშვილმა ძალოვანი მინისტრები დაითხოვოს. როგორ ფიქრობთ, ეს მისი ვარაუდია თუ შეიძლება რაიმე ინფორმაციას ფლობდეს ოქრუაშვილი?***

— არ გამორიცხავს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დადასტურებული ინფორმაციები აქვს, მაგრამ გამომდინარე სააკაშვილის ხასიათიდან, ამბობს ალბათ. თუმცა ძალოვანი მინისტრების დათხოვა, ფაქტიურად მთავრობის დათხოვას უდრის. თუმცა მე მეეჭვება.

***— ის აცხადებს, რომ თუ არ შეეკვეცა უფლებები, დაითხოვს ღარიბაშვილს, წულუკიანს და ალასანიასო...***

— წულუკიანი არ არის ძალოვანი მინისტრი, თუმცა მთავარი პროკურორის დანიშვნა სააკაშვილის კომპეტენციაა. მე მეეჭვება, რომ სააკაშვილი ამაზე წავიდეს. ოქრუაშვილი შესაძლოა არ გამორიცხავდეს, მაგრამ ამის ლოგიკურ საფუძველს მე ვერ ვხედავ. მე მაინც ვფიქრობ, რომ სააკაშვილი არ არის ამაზე წამსვლელი.

***— ექსპერტების მხრიდან სულ ისმის შეფასებები, რომ ნაციონალებს აპრილის თვეში აწყობთ სიტუაციის გამწვავება. ახლა ეს სტუდენტური აქციებიც ააგორეს... თქვენი აზრით, რამდენად შეძლებენ, რომ გაამწვავონ სიტუაცია?***

— მე ვფიქრობ, რომ ვერ შეძლებენ სიტუაციის გამწვავებას, ყოველ შემთხვევაში, იმ დონეზე, რომ ამას სერიოზული ძვრები მოჰყვეს. ათი-ოცი ათასი კაცი რომ მოიყვანონ, ეს არაფერი არ არის, პირიქით, ეს ხაზს გაუსვამს იმას, რომ აი, ესენი არიან სულ მათი მხარდამჭერები. 14 აპრილს პოლიტპატიმრები იკრიბებიან სპორტის სასახლეში, ყრილობა ტარდება და მე ვფიქრობ, რომ იმაზე მეტი თუ არა ,ნაკლები ხალხი არ იქნება. სპორტის სასახლეში შეკრებილები მოითხოვენ სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას და ყველა იმ მაღალი თანამდებობის პირის პასუხისგებაში მიცემას, ვინც დამნაშავეა. მე არა ამგონია, რაიმე მასობრივი მხარდაჭერა ჰქონდეს სააკაშვილს, ხოლო 5-10%, ალბათ, ექნება.

***— ბატონო გელა, ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით გაკეთდა განცხადებები, ივანიშვილის მხრიდან, რომ მთავრდება გირგვლიანის საქმის გამოძიება და ეს ძალიან აწუხებს მერაბიშვილსო. რამდენად დაუშვებთ იმას, რომ მერაბიშვილი 19 აპრილამდე ციხეში აღმოჩნდეს?***

— არა მგონია, იმიტომ, რომ ეს წამგებიანი იქნება ახალი ხელისუფლებისთვის. 19 აპრილამდე ვანო მერაბიშვილის დაჭერა, ეს პირდაპირი სიგნალი იქნება, რომ აი, ისე შეეშინდათ ამ დღის, რომ ის ციხეში გაუშვეს. არა, პირიქით 19 აპრილი უნდა დაადგმევინონ. ეს იქნება ვანოს შოუ. ვანოს შოუ იმ განცხადებით, რომ ჩვენ იმ ვანოს შოუზე, რომელიც რუსთავი 2-ზე გადის, ვიცინით ხოლმე, მაგრამ ეს შოუ ტრაგიკომედია იქნება. ეს იქნება ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების ნამდვილი სახის ჩვენება. დაინახავს ყველა, რომ მათ რეალური მხარდაჭერა აღარ აქვთ. მე ვფიქრობ, რომ ეს მიტინგი უფრო მეტად სჭირდება დღევანდელ ხელისუფლებას, ვიდრე ნაციონალებს.

# სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქციებით იმუქრებიან

გულიკო ბალაძე



**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის კახა ქეცბაიას განცხადებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს არჩევნები ბოლშევიკურად ჩატარდა. მისი თქმით, სოხუმის უნივერსიტეტში სერიოზული პრობლემებია, რომელიც თუ არ გადაწყდა, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა მხრიდან საპროტესტო აქციები დაიწყება.**

***— ბატონო კახა, კონკრეტულად რა პრობლემებია დღეს სოხუმის უნივერსიტეტში, ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც არაფერი შეცვლილა?***

— ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უნივერსიტეტის ცალკეულმა პროფესორებმა ღირსების ორდენები მიიღეს საჩუქრად და დღეს ამით ამაყობენ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი პიროვნება ღირსების ორდენს ნამდვილად იმსახურებდა. ოპოზიციური შეხედულებებისათვის აქ ადამიანები (პროფესორები და სტუდენტები) მკაცრად ისჯებოდნენ.

***— აქამდე რატომ არავინ იღებდა ხმას?***

— ხმას არ იღებდნენ, რადგან უნივერსიტეტს, ფაქტობრივად, სოდი და კუდი მართავდა. მსგავსი რამ მეც გადამხდა თავს. ოქტომბრის არჩევნების წინ ერთ-ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ ექსპერტად მიმიწვია. თუმცა, ვინ გაცალა მუშაობა. უმალ ადმინისტრაციაში დამიბარეს. ადმინისტრაცია ჩემგან ითხოვდა, შემეწყვიტა მსგავსი საქმიანობა. იტყვიან, ძალა აღმართს ხნავსო. მეც რა უნდა მექნა, წვრილშვილის პატრონ კაცს, გავჩერდი. არსებობს ფაქტები იმისა, რომ უნივერსიტეტიდან ცნობილი პროფესორი ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე გააძევეს. როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, დიდი გაჭირვებით დააბრუნეს. ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ამ დღეებში უნივერსიტეტში მოხდა. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო. ჩვენთან რექტორის არჩევნები მაისში უნდა ჩატარდეს. ძველ საბჭოს ვადა გაუვიდა. შესაბამისად, აკადემიური საბჭოს არჩევნები გასულ კვირას ჩაატარეს. თუმცა, ეს არჩევნები დემოკრატიულად კი არა, ადმინისტრაციული რესურსების სრული გამოყენებით ჩატარდა.

***— რას ნიშნავს ადმინისტრაციული რესურსის სრული გამოყენებით არჩევნების ჩატარება ამ შემთხვევაში?***

— პროფესორებსა და საბჭოს წევრ სტუდენტებს პირდაპირ, უხეშად და მოურიდებლად იბარებდნენ ადმინისტრაციაში და ავალებდნენ, მათთვის სასურველი კანდიდატისთვის მიეცათ ხმა. იმისათვის, რომ არჩევნების შემდეგ შეემოწმებინათ, მათ მიერ დარიგებულმა პროფესორებმა როგორ შეასრულეს მიცემული „საშინაო დავალება“, უთხრეს, ბიულეტენში კვადრატის სახით შემოეხაზათ მათთვის სასურველი კანდიდატი.

***— თქვენ საიდან იცით, ამის შესახებ?***

— მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი არც ისე დიდი ორგანიზაციაა და თითქმის არაფერი იმალება. ვინც მითხრა, მათ გვარებს ვერ დავასახელებ, პრობლემა შეექმნებათ. ეტყობა, მსგავსი ტექნოლოგია არჩევნების გამყალბებელი ნაციონალური მოძრაობისაგან ისწავლეს. ამ მხრივ ყველაზე დიდი „ვაჟკაცობა“ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ყოფილმა პარტიულმა ფუნქციონერმა, გალის რაიკომის ყოფილმა მდივანმა გამოიჩინა. ის ურეკავდა კონფორმისტ პროფესორებს და უხეშად ავალებდა, ვისთვის უნდა მიეცათ ხმა. ადმინისტრაცია და დეკანატები პროფესორებს ეუბნებოდნენ, კონკურსში ჩვენ გაგიყვანეთ და, თუ ხმას არ მისცემთ ჩვენთვის სასურველ კანდიდატს, სამომავლოდ პრობლემები შეექმნებოდათო. შესაბამისად, შეშინებულმა პროფესორებმა და სტუდენტებმა (არ ვიცი, სტუდენტებს რა დაჰპირდნენ, პროფესორებს კი — „ფოჩიანი კანფეტები“), რომლებიც ნაციონალური მოძრაობის მომხრეები არიან, მათი დავალება პირნათლად შეასრულეს. ადამიანებმა, რომლებმაც უნივერსიტეტს ყველაფერი შესწირეს, მისი უკეთესი მომავლისთვის იღვაწეს და კიდევ უნდოდათ მისი პროგრესისთვის ამგვარი საქმიანობის გაგრძელება, თავიანთი პრინციპულობისა და ობიექტურობის გამო, არ იქნენ არჩეული აკადემიურ საბჭოში. ამ და სხვა მარაზმული ფაქტების მოყვანით ნამდვილად არ მინდა დაზიანდეს უნივერსიტეტის ღირსეული პროფესორებისა და თავად უნივერსიტეტის ავტორიტეტი, მაგრამ ის, რაც სოხუმის უნივერსიტეტში ხდება, უნდა იცოდეს ქართველმა საზოგადოებამ.

***— სტუდენტები რას ფიქრობენ?***

— სტუდენტების უმრავლესობა, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე აკადემიური საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა, სტუდენტური თვითმმართველობის წევრია. ეს კი რასაც ნიშნავს, ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. მათ მხოლოდ ამგვარი საკითხების მოსაგვარებლად იყენებენ. სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა მათთვის მეორეხარისხოვანია. აბა, როგორ უნდა გავიგოთ ის ფაქტი, როდესაც ადმინისტრაცია პროფესორს ეუბნება: მე შენ გაგიყვანე კონკურსში და ახლა გააკეთებ იმას, რასაც გეტყვიო. მითხარით, სად არის აქ ადამიანის თავისუფლება?

***— ალბათ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უარყოფს თქვენს ბრალდებებს.***

— დიახ, ახლა თქვენ რომ შეეკითხოთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ამ დარღვევების შესახებ, ისინი გეტყვიან, ჩვენ აქ რა შუაში ვართ, აკადემიური საბჭოს არჩევნები ღიად ჩატარდაო. სინამდვილეში, თუ როგორ ჩატარდა ეს არჩევნები, ამის შესახებ ყველამ იცის უნივერსიტეტში. ადამიანები ისე ჰყავთ დაშინებული, რომ ამაზე ხმის ამოღება ვერ გაუბედავთ. ამ შემთხვევაში ერთი რამეა გასაკვირი — უნდა იყვნენ თუ არა ასეთი ადამიანები პედაგოგები? მათ რა უნდა ასწავლონ ახალგაზრდობას? მახსენდება გენიალური ნიცშეს სიტყვები: აკადემიური პროფესურა — ეს ცარიელი ფქვილის ტომარაა, რომელიც მიყრილია ქარის წისქვილებში და საუკუნის მტვერი ადევს. მწარე ნათქვამია, მაგრამ ეს ბევრ ჩვენს კოლეგას ეხება.

***— თქვენც პროფესორი არ ხართ?***

— იმ ტიპის პროფესორად, რომელზეც ნიცშე საუბრობს, არავის ვუსურვებ ყოფნას, მით უფრო — საკუთარ თავს. თანამედროვე საუნივერსიტეტო ცხოვრება მომავალზე უნდა იყოს ორიენტირებული. მომავალი კი ჩვენგან დემოკრატიას, პლურალიზმსა და კრიტიკულ აზროვნებას ითხოვს. ეს საკუთარი თავის კრიტიკასაც ნიშნავს. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის პროგრესი მთელ რიგ ცვლილებებს გულისხმობს.

***— სოხუმის უნივერსიტეტში არანაირი ცვლილება არ მომხდარა?***

— ჩანს, რომ სოხუმის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის ცვლილებები მიუღებელია, მით უმეტეს, რა სასიკეთო ცვლილებებზეა ლაპარაკი, როდესაც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოფილი რექტორის, ნაციონალური მოძრაობის ერთგული კადრის შენარჩუნებაზე ზრუნავს მხოლოდ, თან ამას ღიად და დაუფარავად აკეთებს.

***— რექტორი ვინ არის?***

— ჯონი აფაქიძე. რექტორი და ფაკულტეტის დეკანი რომ პროფესორებს ეტყვიან, რასაც ჩვენ გეუბნებით, იმაში თუ არ გვეთანხმებით, წადით აქედანო, იქ, საერთოდ, რა მეცნიერებასა და პედაგოგიკაზე უნდა ილაპარაკოს კაცმა. კაცობრიობის ისტორიის ყველაზე შავბნელ პერიოდშიც კი არ ხდებოდა მსგავსი რამ. მახსოვს, ავადსახსენებელი პოლიტბიუროს წევრები თითქმის არ იცვლებოდნენ. სწორედ ასე მოხდა ჩვენთანაც.

***— უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში საერთოდ არავინ შეცვლილა?***

— ფაკულტეტების უმრავლესობამ აკადემიური საბჭოს ყოფილი წევრები ხელმეორედ აირჩია. არ მოხდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადახალისება.

***— შეიძლება თქვან, რატომ იყო აკადემიური საბჭოს გადახალისება საჭირო?***

— გადახალისება რომ საჭიროა, ამას დიდი მიხვედრა არ უნდა. ის, ვინც საუნივერსიტეტო ცხოვრებას კარგად იცნობს და პროგრესის მომხრეა, ცვლილებებს ყოველთვის დაუჭერს მხარს.

***— აკადემიურ საბჭოში ცვლილებების შემთხვევაში რა მოხდებოდა?***

— ახალი წევრების არჩევის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა ამჟამინდელი რექტორის ხელმეორედ არჩევის საკითხი. როდესაც აკადემიური საბჭოს ყოფილ წევრს ეკითხები, შენ ხომ უკვე ერთხელ იყავი საბჭოში და ხელმეორედ რატომ გინდა მისი წევრობაო, ამაზე მას ლოგიკურად ჩამოყალიბებული პასუხი არ გააჩნია. ვერც იმას გეუბნება, რომ მას ეს დაავალეს. ეს იმიტომ ხდება, რომ აქ მართვის „კაგებეშნიკური“ მეთოდები კარგად იციან.

***— უნივერსიტეტში ახლაც ნაციონალების გავლენებია?***

— არ მინდოდა საკითხის პოლიტიზაცია, მაგრამ უდავოა, რომ ამ პრობლემას პოლიტიკური დატვირთვა აქვს. აკადემიური საბჭოს ახალი კანდიდატები, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით არ აირჩიეს საბჭოს წევრებად, ცვლილებების მომხრეები არიან. ეს თითქმის პოლიტიკური დევნის ტოლფასია. ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრნი არიან უნივერსიტეტში, თავის გადარჩენისთვის ზრუნავენ. დასანანია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამგვარი რამ ხდება.

***— შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი როგორი უნდა იყოს?***

— ვაპირებთ, ყველა იმ ორგანოს მივმართოთ, რომელსაც რაიმე ქმედითი დახმარების გაწევა შეუძლია. ჩვენ ამ ყველაფერს ვაპროტესტებთ. უნდობლობას ვუცხადებთ არადემოკრატიულად, ადმინისტრაციული რესურსების სრული გამოყენებით ჩატარებულ სამეცნიერო საბჭოს არჩევნებს და მოვითხოვთ ხელახალი არჩევნების ჩატარებას გარე მონიტორინგის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით, პროტესტის უკიდურეს ფორმებს მივმართოთ.

***— ე.ი. გაჩერებას არ აპირებთ? აქციებს გეგმავთ?***

— არავითარ შემთხვევაში არ გავჩერდებით. აქციებსაც გავმართავთ, თუ საჭირო იქნება.

# „ვანო მერაბიშვილი პასუხს აუცილებლად აგებს!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე



დან გამომდინარე, მე სწორად ვაფასებ პრემიერ ივანიშვილის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს. მეტიც, მე ვიტყოდი, რომ ეს დიდსულოვანი ნაბიჯი იყო. მე არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კოტე კუბლაშვილი, მაგრამ, როგორც მინიმუმ, ამ კუთხითაც კარგად უნდა დაფიქრდეს.

***— პრემიერი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემალ ვანო მერაბიშვილს საქმე ცუდად აქვს. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კი ამბობს, რომ გირგვლიანის საქმეზე გასამართლებული ოთხი პირიდან სამმა ჩვენება შეცვალა. ამ სასამართლოს პირობებში მერაბიშვილი შეიძლება ბრალის წარდგენის შემთხვევაში გისოსებს მიღმა ვიხილოთ?***

— მიუხედავად იმისა, თუ რა ინფორმაცია ხდება ამ ეტაპზე საჯარო, ერთში ღრმად ვარ დარწმუნებული: მერაბიშვილი და არა მარტო ის, უამრავი ადამიანი ნაციონალების გუნდიდან პასუხს აგებს ყველა იმ უკანონობაზე, რომლებიც მათ ჩადენილი აქვთ. მათი ახლანდელი ქმედებები კი ნათლად წარმოაჩენს მათ ბუნებას. ისინი არც ახლა ერიდებიან დემაგოგიას, საბოტაჟს, შანტაჟს და, წარმოიდგინეთ, რას იზამდნენ, როდესაც მთელი ძალოვანი ბერკეტები მათ ხელში იყო. მე ვფიქრობ, ისინი გისოსებს მიღმა აუცილებლად აღმოჩნდებიან.

***— სააკაშვილის გუნდი იუსტიციის ყოფილ მინისტრთან, ამჟამად ქვეყნიდან წასულ ზურაბ ადეიშვილთან კონსულტაციებს ადასტურებს. რისთვის ემზადებიან ნაციონალები და რაზეა გათვლილი 19 აპრილის აქცია?***

— მე არაერთხელ მითქვამს საჯაროდ, რომ მათ კარგად გათვლილი „გეგმა“ აქვთ, რომლის განხორციელებასაც მთელი ძალებით ცდილობენ. მათი ეს გეგმა გულისხმობს დესტაბილიზაციის, სხვადასხვა პროვოკაციების გზით სამოქალაქო საზოგადოებაში დაძაბულობის პროვოცირებას. მათ ხელში ჯერ კიდევ დარჩენილი ბერკეტების — სასამართლოს, ელჩების, საკონსტიტუციო უფლებების მაქსიმალურად გადათამაშებას და რევანშისტული მოქმედებების მცდელობას. დარწმუნებული ვარ, ისინი არ მოერიდებიან აშკარად კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსაც, თუმცა მათი ყველა მცდელობა ფიასკოსთვის არის განწირული..

# დღეს საქალაქო სასამართლოში გურამ შარაძის მკვლელობაში მსჯავრდებულის საქმის განხილვაა ჩანიშნული

დღეს, 12 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში გურამ შარაძის მკვლელობაში მსჯავრდებული გიორგი ბარათელის საქმის განხილვაა ჩანიშნული.

საქმე ეხება უკანონო ნივთის — ე.წ. თვითნაკეთი შტირის შენახვა-მოხმარება, რისთვისაც გიორგი ბარათელს ბრალი შესაძლოა, სამ წლამდე დაუმძიმდეს.

დღევანდელ სასამართლო პროცესზე დაიკითხებიან ბრალდების მოწმეები — ორთაჭალის №1 საპყრობილის თანამშრომლები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ბარათელმა თანასაკნელს საპატიმროს დერეფანში ზურგში შტირი ჩაარტყა, შემდეგ გაიქცა და შტირი დერეფანში დააგდო.

საქმის განხილვას მოსამართლე ჯემალ კოპალიანი განაგრძობს, ხოლო ბარათელის ინტერესებს ადვოკატი მამუკა ნოზაძე დაიცავს.

**მედიანიუსი**

# თომას დე ვაალი: „ნაციონალურმა მოძრაობამ პარლამენტისთვის პროდასავლური კურსის კონსტიტუციაში ჩაწერის მოთხოვნით შეცდომა დაუშვა“



დეილ კარნეგის ცენტრის ექსპერტის, თომას დე ვაალის განცხადებით, რეზოლუცია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, საუკეთესო გზაა იმისთვის, რომ ამ ქვეყნის პროდასავლური ორიენტაცია დაფიქსირდეს.

როგორც ტელეკომპანია „იმედთან“ საუბრისას თომას დე ვაალმა საქართველოს პროდასავლურ კურსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციის შეფასებისას აღნიშნა, კონსტიტუცია საგარეო კურსის განმსაზღვრელი დოკუმენტი არ უნდა იყოს და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეცდომა დაუშვა, პარლამენტს პროდასავლური კურსის კონსტიტუციაში ჩაწერა რომ მოსთხოვა.

„როდესაც ბიძინა ივანიშვილი საქართველოს პოლიტიკაში მოვიდა, ბევრს გაუჩნდა კითხვა, აქვს თუ არა მას კავშირი რუსეთთან, კრემლთან. ვფიქრობ, მან ამ კითხვას პასუხი გასცა. ის საკუთარ თავს საქართველოს პატრიოტად თვლის. მას სურს, რუსეთთან ურთიერთობა გააუმჯობესოს. ურთიერთობები იმდენად ცუდი იყო, რომ არ მიკვირს და მგონია, რომ ნებისმიერ ქართველს უნდა მათი დალაგება. ივანიშვილი ძალიან მკაფიოდ გამოხატავს თავის პოზიციას. ამას ადასტურებს კანდიდატურა, რომელიც მან საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა, ასევე, მისი თავდაცვის მინისტრი და ზოგადად, მისი გუნდი. კონსტიტუცია საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი არ უნდა იყოს, „, — განაცხადა თომას დე ვაალმა. შეგახსენებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს მიერ პროდასავლური კურსის არჩევანის კონსტიტუციით დაფიქსირებას ითხოვდა, რაზეც საპარლამენტო უმრავლესობამ უარი განაცხადა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ რეზოლუცია მიიღო.

**მედიანიუსი**

# ქართული მხარე ერგნეთის შეხვედრაზე მავთულხლართების ინსტალაციის საკითხს გააპროტესტებს

დღეს სოფელ ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების რიგით 32-ე შეხვედრა გაიმართება.

ქართული მხარე, ბოლო პერიოდში რუსი მესაზღვრეების მიერ მავთულხლართების ინსტალაციის საკითხს გააპროტესტებს და აღნიშნული პროცესით, ე.წ „ადმინისტრაციული საზღვრის“ მიმდებარე ტერიტორიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივებისთვის შექმნილ პრობლემებზე ისაუბრებს. შეხვედრაზე ასევე განხილული იქნება, ახალგორის რაიონში მდებარე დაზიანებული წყლის სისტემის შეკეთების და ცხინვალის ციხეში მყოფი საქართველოს მოქალაქეების საკითხი.

**პირველი**

# აჭარის საგანგებო სიტუაციების სააგენტო მუშაობის ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა

აჭარის საგანგებო სიტუაციების სააგენტო, აჭარაში ამინდის მოსალოდნელი გაუარესების გამო, მუშაობის ყაზარმულ რეჟიმზე გადავიდა. ოგორც აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე მამუკა თურმანიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მოსალოდნელია ზღვაში შტორმები და ქარბორბალები. „სააგენტოში შემოსული ამინდის პროგნოზის მიხედვით, დღეიდან გაუარესდება ამინდი მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით აჭარაში. მოსალოდნელია ზღვაში შტორმები, შეიძლება ქარბორბალებიც. ასევე, თოვლი, ქარი და წვიმები. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი სააგენტო გადასულია მუშაობის ყაზარმულ რეჟიმზე. მუშაობის საგანგებო რეჟიმი ალბათ სამ დღეს გაგრძელდება“, — აღნიშნა მამუკა თურმანიძემ.

**მედიანიუსი**

# თემურ შაშიაშვილი: „მოსკოვი სააკაშვილის პირად საქმეს მალავს“

შორენა მარსაგიშვილი

## ვის სადღეგრძელოს სვამდა გიგი უგულავა მოსკოვში

**გასულ კვირაში საქართველოში ნამდვილი ანტირუსული ისტერიკა იყო. მოსკოვში „ერისიონის“ გასტროლების გამო დიდი ამბები დატრიალდა. ვიღაცა მართლა გულწრფელად აპროტესტებს რუსულ აგრესიას, მაგრამ ძალიან ბევრი ამ თემით პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობს. პარტია „თეთრების“ ლიდერის, თემურ შაშიაშვილის თქმით, ის ხალხი, რომელიც დღეს რუსეთს ასე ისტერიკულად ლანძღავს, სინამდვილეში თავად აკეთებს რუსულ საქმეს.**

**რას ნიშნავს სინამდვილეში რუსული საქმის კეთება, რა უნდოდა პეტერბურგის ცენტრში სააკაშვილის ფოტოს, რატომ არ საუბრობენ მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტის წარსულზე, რატომ არ არის ვიღაცებისთვის ივანიშვილი მოსაწონი — ამ თემებზე გვესაუბრება თემურ შაშიაშვილი.**

**თემურ შაშიაშვილი:**

– რაც დროს გადის, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ვინც დღეს საქართველოში რუსეთს ლანძღავს, რუსულ საქმეს აკეთებს. ამას დროც ადასტურებს და მსოფლიო გამოცდილებაც. საქართველოში დღეს მხარდაჭერა აქვს იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც რუსეთს ლანძღავენ. ეს ის სიტუაციაა, როდესაც რუსეთს აწყობს, როგორც ლანძღავენ საქართველოში.

***– რაში აწყობს რუსეთს ლანძღვა?***

– საქართველოს ამერიკაზე აქვს აღებული ორიენტაცია. ამას მშვენივრად ხედავს რუსეთი. საქართველოს გადასაბირებლად რუსეთი არაფერს აკეთებს და ეს არც არაფერში სჭირდება. მოსკოვში კარგად ხედავენ, რომ რაც მეტად იმართება საქართველო გარე ძალებისგან, მით მეტად ინგრევა ქართული ცნობიერება და ეკონომიკა. საქართველოს დანგრევა ბრალდება მარტო რუსეთს. სინამდვილეში კი სხვა ქვეყნები ანგრევენ საქართველოს. ეს, ბუნებრივია, რუსეთის ინტერესებში შედის. გარკვეული წლების შემდეგ გვეტყვის: თქვენს გადმოსაბირებლად არაფერი გამიკეთებია, თქვენ მაგინებდით, თქვენ იყავით მიჯაჭვული ამერიკაზე და თქვენ მოსპეთ საქართველო. მთელი უბედურება სწორედ ისაა, რომ ყველაზე ქართული სიტყვა შეიძლება რუსეთმა თქვას. ეს გახლავთ კაგებეს მეთოდი. ზემოთაც ვთქვი და გავიმეორებ, დღეს სწორედ ის აკეთებს რუსულ საქმეს, ვინც ლანძღავს რუსეთს.

***– გასაგებია, რომ ლანძღვა არ არის კარგი. აბა, რა ვქნათ, დიალოგზე წავიდეთ? აწყობს საქართველოს დიალოგი?***

– დღეს საქართველოს აწყობს დიალოგი რუსეთთან. მაგრამ ეს არ აწყობს რუსეთს. ჩვენ სწორედ იმას ვაკეთებთ. მოდი, დავაკვირდეთ, ვინ ლანძღავს რუსეთს. ეს ის ხალხია, ვინც რუსეთთან გენეტიკურად არის დაკავშირებული. ვისი წინაპარიც რუსეთთან ყველაზე მეტად იყო ჩახუტებული, მისი ჩამომავალი ილანძღება ყველაზე მეტად. იყო დრო, მეც ვლანძღავდი რუსეთს. მერე იტალიელებმა ერთი კარგი გაკვეთილი ჩამიტარეს.

***– რა გაკვეთილი?***

– წლების წინ ტარდებოდა ევროპის რეგიონთა ასამბლეის სხდომა. მე ამ ასამბლეის ბიუროს წევრად ამირჩიეს. ვიფიქრე, ევროპელებს მოვაწონებ თავს და ჩემს გამოსვლაში დავიწყე რუსეთის ლანძღვა. მეგონა, დარბაზი ტაშს დამიკრავდა. მსგავსი არაფერი მომხდარა, დარბაზს ჩაეძინა. სხდომა რომ დამთავრდა, ჩემთან მოვიდა ლაციოს მხარის პრეზიდენტი და მითხრა: მე თქვენ სერიოზული პოლიტიკოსი მეგონეთ, მაგრამ თქვენი გამოსვლის შემდეგ წარმოდგენა შემეცვალაო. ხმა ვერ ამოვიღე, არ ვიცოდი, რა მეთქვა. მეგონა, რუსეთის ლანძღვით ევროპელებს თავს მოვაწონებდი, მაგრამ პირიქით მოხდა. ამ კაცმა მითხრა: „ევროპის ქვეყნებმა უკვე გადავიარეთ ის საყმაწვილო სენი, რასაც რუსეთი ჰქვია. ყველაზე კარგად რუსეთთან ის ქვეყნები ვართ, რომლებმაც მოსკოვთან ომი წავაგეთ. თქვენ გვასწავლით, რუსეთი ვინ არის, მაგრამ ერთი რამე კარგად ვიცით, რომ ამ ქვეყანასთან ომი არ შეიძლება. რუსეთს ომით ვერ მოუგებ და მასთან ლაპარაკია საჭიროო“. ისიც დაამატა, თქვენ რუსეთს ლანძღავთ და მერე გიკვირთ, ხელი რატომ გაგვარტყაო. მერე ამერიკაზეც მესაუბრა. თქვა, მთელი მსოფლიო ცდილობს, ამერიკა და რუსეთი არ გააღიზიანოსო. აღშფოთებული იყო, ეს 2 ქვეყანა აზის მსოფლიოს თავზე. მისი თქმით, ამ ორივესთან კარგად უნდა იყო, ან ორივესთან ცუდად.

***– ეს შესაძლებელია, რომ ორივესთან კარგად ვიყოთ?***

– შესაძლებელია და აუცილებელი! რუსეთთან კარგად ყოფნა და ამერიკასთან მტრობა, ან პირიქით, საქართველოსთვის დამღუპველია. დღეს ვინც რუსეთს ლანძღავს და ამერიკას აქებს, საქართველოს ანადგურებს. ამ რუსეთის ლანძღვაში ვხედავთ, რომ მთელი ქართული ეკონომიკა რუსეთმა ჩაიგდო ხელში. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დენი, გაზი და წყალი რუსულ კომპანიასთან არის დაკავშირებული. ესეც არ იკმარეს და თბილისის მერიამ ნაგვის გადასახადიც კი რუსულ კომპანიას მიაბა. დღეს გიგი უგულავა ბევრს აკრიტიკებს რუსეთს. ამ დროს ის თავად დადიოდა რუსეთში.

***– რას აკეთებდა რუსეთში?***

– მათ სადღეგრძელოებს სვამდა და რაღაც-რაღაცებს ჰპირდებოდა რუსებს. აქ გამოდის და რუსეთს ლანძღავს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხალხი ტყუვდება ამით. მოსახლეობა ფიქრობს, რომ რუსეთის მლანძღავი ქართულ საქმეს აკეთებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: რუსეთის მლანძღავებმა მთელი ქართული ეკონომიკა, მთელი ჩვენი საბადოები რუსებს ჩაუგდეს ხელში. დღეს საქართველო ქვეყანა კი არ არის, არამედ სააქციო საზოგადოებაა, სადაც ამერიკა და რუსეთი 50-50 პროცენტს ფლობენ. ამერიკა მართავს პოლიტიკას, რუსეთი – ეკონომიკას. ვის სჭირდება ასეთი საქართველო? რა თქმა უნდა, რუსეთს. საქართველოს დღეს ისეთი ხელისუფლება სჭირდება რომელიც გარედან არ იმართება. შევარდნაძის დროს გარედან ჩარევა 70-80 პროცენტი იყო. სააკაშვილის დროს კი 100 პროცენტით გარედან იმართება საქართველო. დღეს ისე წარმოაჩენენ, რომ სააკაშვილი და რუსეთი ერთმანეთის მტრები არიან. ასეთ ვითარებაში რუსეთი მის პირად საქმეს არ უნდა ასაიდუმლოებდეს,

***– რა პირად საქმეს გულისხმობთ, ბატონო თემურ?***

– ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილი ბორისპოლში კაგებეს ჯარებში მსახურობდა, ის იყო კაგებეს ეფრეიტორი. არის ასეთი გამოთქმა, ყოფილი კაგებეშნიკები არ არსებობენო. ეს მართლაც ასეა. მე ძალიან ბევრი ადამიანს ვიცნობ, რომლებსაც ნანახი ჰყავთ როგორ მსახურობდა სააკაშვილი ბორისპოლის აეროპორტში, კაგებეს ეფრეიტორად. სხვათა შორის, ამ ადამიანებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ კაგებეს ეფრეიტორი სააკაშვილი ყველაზე ცუდად და უხეშად ქართველებს ექცეოდა და კაცმა არ იცის, რას აკეთებდა კიდევ იქ. ეს ყველაფერი კარგად იცის რუსეთის ხელისუფლებამ. მათ ხელთ აქვთ დოკუმენტები, რომელთა გასაჯაროებას რუსეთი არც აპირებს. გვაჩვენონ სააკაშვილის პირადი საქმე. ეს იმდროინდელი საქმეა, როცა სააკაშვილი კაგებესთან დაკავშირებულ სასწავლებელში სწავლობდა. სააკაშვილი მართლაც რუსეთის მტერი რომ ყოფილიყო, ამ საქმეს დიდი ხნის წინ აჩვენებდნენ დღის სინათლეს. ისინი ამ თემაზე საერთოდ არ საუბრობენ. რუსეთის ცენტრალური ტელევიზიებით ხდება სააკაშვილის პროპაგანდა.

***– რას გულისხმობთ, ბატონო თემურ?***



– საქართველოში გატარებულ რეფორმებზე იქ აქტიურად საუბრობენ. რუსეთის მოსახლეობას ინფორმაციას აწვდიან ისე, როგორც სააკაშვილს აწყობს. გააჩერეთ ნებისმიერი რუსი ქუჩაში და ჰკითხეთ, რას ფიქრობს ის საქართველოზე. გეტყვით, რომ კარგია სააკაშვილი, რადგანაც მან კორუფცია მოსპო. დაგიწყებთ იმის მტკიცებას, რომ საქართველოში ხალხი ცხოვრობს კარგად. ეს ინფორმაცია მათ რუსული არხებით მიეწოდებათ. მათ ძალიან კარგად იციან, რაც ხდება რეალურად საქართველოში, მაგრამ ხალხს სხვანაირ ინფორმაციას აწვდიან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პეტერბურგის ცენტრალურ ქუჩაზე მაღაზიაში გამოფენილი აქვთ სააკაშვილის ფოტოსურათი.

***– ეს დადასტურებული ინფორმაციაა?***

– მე თვითონ მაქვს ნანახი. პეტერბურგში კონფერენციაზე ვიყავი და იქ ვნახე. ყვავილების მაღაზიაა და იქა აქვთ სააკაშვილის სურათი.

***– მაღაზიის მეპატრონე ქართველია?***

– ქართველები არიან ამ მაღაზიის მეპატრონეები. მაღაზია ქალაქის ცენტრშია. მაღაზიაში შესულებს სააკაშვილის წარმატებებზე ესაუბრებიან. ახლა მითხარით, ეს რას ნიშნავს? ესეც ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი დღეს რუსეთისთვის მისაღები პიროვნებაა. წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, საქართველოში ვიღაცამ თბილისის ცენტრში პუტინის სურათი რომ დაკიდოს და მისი პროპაგანდა დაიწყოს. წინა კვირაში საქართველოს სტუმრობდა ცნობილი მუსიკოსი ბაშმეტი. მან კონსერვატორიაში ჩაატარა კონცერტი. ვიღაცებმა მას დაუსტვინეს.

***– მას იმიტომ დაუსტვინეს, რომ თავის დროზე აფხაზეთში ჩაატარა კონცერტი.***

– მერე რა მოხდა? აფხაზეთი საქართველო არ არის? რა გამოდის, ჩვენ დავუსტვინეთ იმ ადამიანს, რომელმაც საქართველოს ერთ-ერთ მხარეში კონცერტი ჩაატარა? ეს არის არასწორი საქციელი. ამით ჩვენ თავად ვუსვამთ ხაზს იმას, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველო არ არის. იგივე ხდება ვიზებთან დაკავშირებითაც. სააკაშვილმა შარშან რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლის უფლება მისცა. ძალიან კარგია, ასე რომ მოხდა. მაგრამ ამავე დროს რუსს რატომ სთხოვ, რომ აფხაზეთში და სამაჩაბლოში შესასვლელად თბილისში აიღონ ნებართვა. ამით ხომ ჩვენ თავად ვამბობთ უარს აფხაზეთზე და სამაჩაბლოზე. ეს კუთხეები საქართველოს თუ ეკუთვნის, მაშინ რუსებს იქ შესვლა არ უნდა დავუშალოთ. მე ძალიან მიხარია, რომ პარლამენტი ამ საკითხის განხილვას იწყებს.

***– ნაციონალები ამბობენ, რომ ეს რუსული საქმის გაკეთება და რუსეთის წინაშე მორიგი ქედის მოხრა იქნება!***

– რუსულ საქმეს რუსეთის ლანძღვით აკეთებენ ისინი. რუსეთთან დიალოგის რეჟიმში რომ ვიყოთ, ასეთ დღეში არ ვიქნებოდით. ძალიან მწყინს, რომ ხალხს დღეს ის პოლიტიკოსები მოსწონს, ვინც რუსეთს ლანძღავს. და საერთოდ, საქართველოში მოგვწონს ის პოლიტიკოსები, რომლებიც ილანძღებიან და ემოციით მართავენ ხალხს. ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ემოციები გვერდზე გადადოს და გონებით მართოს ქვეყანა. მე ვფიქრობ, რომ ის ცდილობს, გონებადაკარგული ხალხი ჩამოაცილოს პოლიტიკას. მას ქვეყნის მართვა გონებით სურს. ეს თუ მართლაც ასეა, ეს იქნება დიდი ქართული საქმე. მიხარია ისიც, როცა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, ხალხს ღირსება დაუბრუნონ. ეს ღირსება ხალხს სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ წაართვა. სააკაშვილს მოსწონდა ისეთი ხალხი, რომელიც მას სიმართლეს კი არ ეტყოდა, არამედ მისი მონა იქნებოდა. ეჭვი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილსაც მოსწონს ისეთი ხალხი, ვინც მას თავს დაუხრის. საქართველოს ისტორიაში დავით აღმაშენებელზე არანაკლები დამსახურება აქვს გიორგი ჭყონდიდელს. ეს ადამიანი სათანადოდ არა გვყავს დაფასებული და ძალიან საწყენია. დავით აღმაშენებელს მან დაადგა მეფის გვირგვინი. 16 წლის მეფემ ჰკითხა გვირგვინის დადგმისას ჭყონდიდელს, რა გავაკეთოო. ჭყონდიდელმა უპასუხა: დიდო მეფეო, ღირსება დაუბრუნე ხალხს, მეტი არაფერიო. იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ ხალხს ღირსება დაუბრუნოს.

***– რაკი ახალი ხელისუფლება ვახსენეთ, რას იტყვით ბიძინა ივანიშვილზე? რამდენად არის ის მისაღები დასავლეთისთვის. სააკაშვილზე თქვით, რომ ის რუსეთისთვისაც მისაღებია და ამერიკისთვისაც.***

– სააკაშვილი ამერიკისთვის და რუსეთისთვის მისაღებია იმიტომ, რომ სუსტი და მართვადია. მისთვის მთავარია სკამი შეინარჩუნოს და ყველაფერზე წავა. ივანიშვილი სხვანაირად უდგება საქმეს. ის ძლიერი პიროვნებაა და შესაბამისად ნაკლებად არის შესაძლებელი მისი მართვა. ამიტომაც ის ბევრისთვის მიუღებელი იქნება ქვეყნის გარეთ. იმედია, ივანიშვილი დარჩება ამ პოზიციაზე. მას კიდევ ბევრი ბრძოლის გადატანა მოუწევს ევროპასთან. ევროპელ პოლიტიკოსებს გასროლილ ტყვიასავით ეშინიათ, თუ რომელიმე წარმატებული ბიზნესმენი მოვა პოლიტიკაში და პოლიტიკაშიც წარმატებული გახდება. არც ერთი ასეთი ადამიანი არ გაახარეს.

***– რატომ, ბატონო თემურ?***

– იმიტომ, რომ როგორც ჩვენთან, იქაც ძალიან ბევრი ფულს პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ შოულობს. ევროპა სავსეა ისეთი პოლიტიკოსებით, რომლებიც პოლიტიკაში ფულის საშოვნელად მოვიდნენ. ისინი ივანიშვილის მტრები არიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ მასზე ზეწოლა მოახდინონ. რაღაცები, სამწუხაროდ, უკვე დათმო ივანიშვილმა.

***– რა დათმო?***

– თავიდან ის პრეზიდენტის იმპიჩმენტს არ გამორიცხავდა. არჩევნების მოგების შემდეგ იმპიჩმენტის თემა უკან წაიღო. მერე თქვა, რომ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა იწურებოდა 2013 წლის 5 იანვარს. შემდეგ ესეც უკან წაიღო. უფრო სწორად, წაალებინეს. იმედია, მომავალში ივანიშვილი უფრო შეუვალი იქნება. დღეს საქართველოს უბედურებაა ის, რომ ოპოზიცია ჰქვია ქვეყნის დამაქცევარ ნაციონალურ მოძრაობას, მათ ბელადს პრეზიდენტი, ხოლო მათ იდეოლოგ ბენდუქიძეს ქველმოქმედი და მეცენატი.

# ნაციონალები ოპონენტებს ევროპარლამენტარების დახმარებით ებრძვიან

შორენა მარსაგიშვილი

ევროპარლამენტარების ნაწილი საქართველოს ხელისუფლებასთან უსტარების წერაში მაგრად გაერთო. 23 შეშფოთებული ევროპარლამენტარის წერილმა ჩვენში დიდი ალიაქოთი გამოიწვია. პარლამენტის თავმჯდომარემ და პრემიერმა შეშფოთებულებს საკმაოდ მწვავე წერილებით უპასუხეს და აღელვებული ხალხი კიდევ უფრო ააღელვეს.

აღელვებულმა ევროპელებმა კი დეკლარაცია მიიღეს და ახლა უკვე ჩვენს მთავრობას მოუშალეს ნერვები. ნერვები საქართველოს ხელისუფლებას „ევროპის სახალხო პარტიის“ სამოქმედო გეგმის ტონმა და შინაარსმაც მოუშალა. შეშფოთებულმა მთავრობამ საპასუხო სტატიაც დაწერა. „ახალი თაობა“ მთავრობის საპასუხო წერილს უცვლელად გთავაზობთ.

– )ეს არის სულ ახალი განცხადება იმ თავდასხმათა შორის, რომლებიც ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთი წევრისგან მოდის და ცხადჰყოფს პარტიულ მხარდაჭერას პრეზიდენტ სააკაშვილისადმი, რომელიც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში სასტიკად დამარცხდა. მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას, შეცვალოს სააკაშვილის არადემოკრატიული პოლიტიკა, მუდმივად მოჰყვება პრეზიდენტის გაღიზიანებული და არაკონსტრუქციული რეაქცია.

როგორც ჩანს, სააკაშვილის მოკავშირეები ევროპარლამენტში კონფრონტაციის ტაქტიკას არჩევენ, ამან კი, შეიძლება, ძირი გამოუთხაროს სწორედ იმ მიზნებს, რომელთა დაცვასაც ემსახურება ევროპარლამენტი, მაშინ,



როცა ევროკავშირის ემისარი ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამერბერგი დახმარებას უწევს მთავრობას რეფორმების განხორციელებაში.

ევროპის სახალხო პარტიის რეკომენდაციები სხვა არაფერია, თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წაყენებული დაუსაბუთებელი ბრალდებების მთელი ნუსხა ახალი ფორმულირებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო პარტიას არ შესწევს უნარი, ჩამოაყალიბოს საკუთარი პოლიტიკური დასკვნები საქართველოში არსებული ვითარების შესახებ, რომლებიც დაფუძნება არაპარტიულ, სათანადოდ შესწავლილ და ადამიანის უფლებებზე დამყარებულ ანალიზს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და სხვები ცდილობენ დაარწმუნონ საქართველოს ევროპელი პარტნიორები, რომ არანაირი საფუძველი არა აქვს სააკაშვილის განცხადებებს იმის შესახებ, რომ საქართველომ გადაუხვია დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას და დაშორდა ევროპულ სტანდარტებს. სინამდვილეში კი, ევროკავშირის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროსაბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს კმაყოფილება ხელისუფლების რეფორმებით, რაც მნიშვნელოვანი წინსვლაა დემოკრატიული ნორმებისაკენ, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში წლების განმავლობაში ირღვეოდა ადამიანის უფლებები.

პრემიერ-მინისტრმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მზად არის მიმართოს გამოიყენოს ევროპარლამენტში, ხოლო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოთქვა მზად-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# რამაზ საყვარელიძე: „გამაგებინეთ, სააკაშვილი ევროპული ღირებულებებით არღვევდა ადამიანის უფლებებს?!“

ნათია ხურცილავა



### ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

***— ბატონო რამაზ, პარლამენტის თავმჯდომარის წერილის შემდეგ პრემიერ-მინისტრის წერილი გამოქვეყნდა, რომლის ადრესატიც 23 ევროპარლამენტარია. რამდენადაც ვიცი, ერთგვარი პრეცედენტია, მანამდე ძირითადად კრიტიკას ვისმენდით. რას იტყვით?***

— ურთიერთობის სტილი თითქოს იცვლება. უსამართლო კრიტიკაზე ხელისუფლებამ რეაგირება გადაწყვიტა. ადრე ანალოგიური ფაქტი თითქმის არც იყო. დასავლეთმა არაადეკვატური შეფასება მისცა არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, რაზეც ხელისუფლებამ რეაგირება მოახდინა. ადრე, წინა ხელსიუფლების პირობებში ფრაგმენტულად იყო კრიტიკა, მაგალითად, სასამართლო სისტემას აკრიტიკებდნენ, დემოკრატიის ხარისხს გვიწუნებდნენ, რაზეც ხელისუფლება არ რეაგირებდა. ის ხელისუფლება უფრო დამყოლი იყო, მაგარამ მაშინდელი კრიტიკაც თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მშვიდობიანი და მეგობრული იყო, ვიდრე ახლა „სახალხო პარტიას“ აქვს ტონი.

***— იმ რეაქციაზე, რომელიც ხელისუფლებას ჰქონდა, ოპოზიციამ განაცხადა, რომ ეს უფრო დაგვაშორებს ევროპას, ვიდრე დაგვაახლოვებს. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს შეფასება?***

— ეს განცხადება ოპოზიციის პოზიციიდან გაკეთებული განცხადება უფროა და ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ის სტილი და კრიტიკა, რაც ხელისუფლებამ დაიმსახურა მთლიანად ოპოზიციის რიტორიკაზეა აგებული. ფაქტიურად გამოდის, დღევანდელმა ოპოზიციამ გადაწყვიტა, სთხოვოს თავის პარტნიორ დასავლელ კოლეგებს, რომ ხელისუფლებას „დაარტყას“. სთხოვა, რომ მათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანების პერსპექტივა. თუ შეიძლება ითქვას, ოპოზიციამ ამის ტექსტი მისცა. ოპოზიცია ამ შემთხვევაში, სწორედ ამ წერილით თავის თავს იცავს და „სახალხო პარტია“ „ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ფილიალი გამოდის. თუ ასე გაგრძელდა, „სახალხო პარტიამ“ თავის თავზე უნდა აიღოს ის პასუხისმგებლობა, რაც აქამდე გაუკეთებია „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ შორის, ცოცხებიდან დაწყებული, საკუთრების უფლების ჩამორთმევით დამთავრებული. ცოცხები შემთხვევით არ ვახსენე, ცოცხების პოლიტიკა ევროპის პოლიტიკად არ უნდა იქცეს. ივანიშვილის პასუხი გულისხმობდა იმას, რომ იღებს კი პასუხისმგებლობას ეს ჯგუფი, რომ ევროპული ღირებულებების დევალვაცია მოხდეს. მოხდეს მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილი პერსონალურად დაიცვან. ქართველი ხალხი, ლამის 90 პროცენტი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, ამ ფონზე ევროპარლამენტარების ამ ჯგუფმა, ამ 90 პროცენტის მიმართ რადიკალური უპატივცემულობა გამოავლინა განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან, რომელიც ძალიან ყურადღებით მოექცა ხალხის არჩევანს. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა საქართველოსადმი ხალხის არჩევანზეა ორიენტირებული. თუკი ევროპული პოლიტიკა აგრძელებს იმ პოლიტიკას, რომ მას ფეხზე ჰკიდია ხალხის არჩევანი და ურჩევნია თავისი კაცი, მაშინ მაინტერესებს, რა გვინდა ასეთ ევროპაში?

***— ფიქრობთ, რომ ეს არის ამ 23 ადამიანის პოზიცია გარკვეული დამოკიდებულების გამო, თუ პროცესი უფრო შორს არის და ევროპული ღირებულებები დგას კითხვის ნიშნის ქვეშ?***

— რომელ ევროპულ ღირებულებებზეა საუბარი, გაარკვიეს, რომელი ევროპული ღირებულებები ირღვეოდა სააკაშვილის მმართველობის დროს და ახლა ივანიშვილის პირობებში? ეს ხომ ყოველგვარი გარკვევისა და გადამოწმების გარეშე წინასწარი პოზიციაა. მხარეთა მოსმენის, თანაბრობის პრინციპი სად არის? სად არის ეს ევროპული ღირებულებები? გამოდის, თავად ევროპელების ეს ჯგუფი ახდენს ევროპის, ევროპული ღირებულებების დევალვაციას. გარდა ცუდი ფიქრებისა, ამ პროცესის გაანალიზებისა სხვა ფიქრი არ მოდის.

***— ევროპელი ლობისტები დაიქირავა ახალმა ხელისუფლებამ, როგორც ცნობილია, და ისინი იმუშავებენ ახალი ხელისუფლების საგარეო იმიჯზე. ეს შეცვლის ასეთ დამოკიდებულებას?***

— უნდა ვიმედოვნოთ, რომ შეცვლის. ეს კარგია. სააკაშვილის ხელისუფლება ცნობილი იყო თავისი ლობისტური კომპანიებით, როგორ მუშაობდნენ ისინი და როგორ უქმნიდნენ საგარეო იმიჯს სწორედ. ახლაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ჯგუფიც ხომ არ ასრულებს იგივე ფუნქციას. თუ ვცდები, ძალიან გამიხარდება, მაგრამ გაუგებარია ჩემთვის ეს ევროპელები რატომ გვეუბნებიან უარს, რომ ჩვენც ევროპული ღირებულებები დავიცვათ, აღვადგინოთ სამართლიანობა. რატომ იცავს ევროპარლამენტარების ეს ჯგუფი ყოფილ სახელისუფლო გუნდს ასე თავგამოდებით? მათაც მიუძღვით რაიმე წვლილი? მე არავითარი დამატებითი ინფორმაცია არ მაქვს ეს არის იმის ანალიზი, რასაც ღიად ვუყურებ და ვუსმენ.

***— ბატონო რამაზ, სწორი სვლა იყო ახალი ხელისუფლების მხრიდან არა დუმილი, არამედ შეპასუხება?***

— თუ ჩვენი მიზანი არის, რაღაც უკუკავშირი დავამყაროთ, რომ ევროპამაც იგრძნოს მისი ამა თუ იმ ნაბიჯის შემდეგ, რა განწყობილებები სუფევს საქართველოში, მაშინ სწორი ნაბიჯი იყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არსებულ ვითარებას ბრწყინვალედ აუღო ალღო. თუნდაც იმით, რომ გამოაგზავნა მაღალი პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის მქონე ელჩი. სტრატეგია, რომლითაც დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მოქმედებს, შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი სავსებით მისაღები და ბუნებრივი აღმოჩნდა ხალხისთვის. და რა ერის ეს სტრატეგია? გაუწიეთ ხალხის ნებას ანგარიში. თუმცა, ამას წინ უძღოდა, ამერიკის წინა ელჩის მოღვაწეობის პერიოდში ამერიკის საელჩოსთან რამდენიმე აქცია. ანტიამერიკული განწყობილებების ხმამაღლა დაფიქსირება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სწორი დასკვნები გააკეთა, რომ მათ პოლიტიკაში საქართველოსადმი რაღაც შესაცვლელია. ანალოგიურად თუკი ევროპაც გააკეთებს დასკვნებს, კარგია. მით უფრო, მაშინ, როდესაც ივანიშვილის პოზიცია უფრო მისაღებია, ვგულისხმობ წერილობით პასუხს და არა ქუჩაში გამოსვლებს. თუ ევროპა მიხვდება, რომ ცალკეული ჯგუფების ქმედებებმა შეიძლება საქართველოში ანტიევროპული განწყობები გამოიწვიოს, მაშინ მათ უნდა შეცვალონ პოლიტიკა. დღეს ევროპას, გარკვეულ ჯგუფს, ნებიერა ბავშვის პოზიცია უკავია. თუ ევროპული სტრუქტურები უფრო კაპრიზულები აღმოჩნდებიან და გადაწყვეტენ, მთელ ხალხს მიაყენონ შეურაცხყოფა, მაშინ იძულებულები ვიქნებით, რომ უფრო თავშეკავებულები ვიყოთ ევროპის მიმართ და ორიენტაცია კიდევ უფრო მკვეთრად ამერიკისკენ ავიღოთ.

# ზურაბ ბერუაშვილი: „არავის ვუცემივარ, ძველი დრო ხომ არაა, თქმის მეშინოდეს!“

**რამდენიმე კვირის წინ საკმაოდ რეზონანსული სახე მიიღო გურჯაანში ერთ-ერთი მოქალაქის, ზურაბ ბერუაშვილის დაკავებამ, რომლის შესახებ გავრცელებული ხმების თანახმად, მას პოლიციამ სცემა და ჩვენების მიღებას ამ გზით აიძულებდა.**
**საქმით რეგიონულ მედიასთან შეხვედრის დროს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაინტერესდა, რომელიც საკითხში გარკვევას პირადად შინაგან საქმეთა მინისტრთან აპირებს.**

„ნიუსპრესი“ მომხდარის დეტალებთან დაკავშირებით, გურჯაანში, თავად **ზურაბ ბერუაშვილს** დაუკავშირდა, რომელიც 28 თებერვალს მომხდარ ფაქტს იხსენებს:

— 28 თებერვალს, გურჯაანში „მაგთის“ ოფისში ვიმყოფებოდი, სადაც გადასახადი უნდა გადამეხადა. რიგში ჩემს წინ ერთი ქალბატონი იდგა, რომელმაც, როგორც აღმოჩნდა თანხა დაკარგა. როგორც მოგახსენეთ, ის ქალბატონი რიგში ჩემზე წინ იდგა და შესაბამისად ოფისიდანაც ჩემზე ადრე გავიდა. როდესაც ჩემი რიგი მოვიდა და გადასახადი გადავიხადე, შენობა დავტოვე, რა დროსაც ქუჩაში საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა გამაჩერა და მითხრა, რომ პოლიციის განყოფილებაში უნდა წავყოლოდი.

***— რატომ მაინცდამაინც თქვენ, ოფისში თქვენ ორს გარდა სხვა ხალხიც ხომ იყო.***

— ალბათ იმიტომ, რომ რიგში იმ ქალბატონის შემდეგ ვიდექი, ფაქტიურად გამოვიდა, რომ პირველი ეჭვმიტანილი მე ვიყავი.

***— როგორ მოხდა თქვენი დაკავება, ან ჰქონდა თუ არა თქვენს მიმართ დაკავების მომენტში რაიმე სახის ან შეურაცხოფას ადგილი?***

— არა აბსოლუტურად არანაირი შეურაცხყოფა არ ყოფილა. მითხრეს რომ გასარკვევი გვაქვს რაღაც საკითხი და პოლიციაში უნდა წამობრძანდეთო და მეც ჩვეულებრივად ჩავჯექი მანქანაში და წავყევი.

***— განყოფილებაში რა მოხდა?***

— განყოფილებაში გამომძიებელთან მიმიყვანეს, რომელმაც დაკითხვამდე ჩემი ჩხრეკის პროცედურა ჩაატარა. მერე დამკითხეს რის შემდეგაც ოქმზე ხელი მომაწერინეს და გამომიშვეს.

***— რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ პოლიციის განყოფილებაში თქვენზე ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. ადასტურებთ თუ არა მას?***

— ეგეთი რამე არ ყოფილა. რამდენჯერ უნდა ვთქვა და ავუხსნა ჟურნალისტებსაც და ყველას. ტყუილი რად მინდა, არც სიტყვიერი და არც ფიზიკური შეურაცხყოფა არ ყოფილა. არც სიმართლის თქმის მეშინია. ძველი დრო ხო აღარ არის, რომ ლაპარაკის მეშინოდეს. არ ვიცი ვინ თქვა, რომ ჩემს მიმართ ფიზიკურ ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი, თუმცა იმის შემდეგ ჩემთან ყოველდღე ჟურნალისტები მოდიან ან მირეკავენ.

***— თუ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მაშინ თქვენი აზრით ვის უნდა აწყობდეს, რომ მსგავსი ხასიათის ინფორმაციები გაავრცელოს?***

— არ ვიცი, რა გითხრათ, ვინმეს ხელი როგორ დავადო. ტყუილს ვერავის ვერ დავაბრალებ.




***— მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენს მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა, დაინტერესდა თუ არა სამართალდამცველი ან უფლებადამცველი ორგანიზაციები ამ ფაქტით?***

— პროკურატურა დაინტერესდა და დაკითხვაზე ვიყავი დაბარებული, სადაც იგივე გავიმეორე რასაც თქვენ გეუბნებით. იქაც ხელი მომაწერინეს ჩვენებაზე და ისე გამომიშვეს.

***— ანუ საქმე არ აღძრულა?***

— არაფერი მომხდარა და რაზე უნდა აღძრულიყო საქმე. საერთოდ კი მინდა ყველას ვუთხრა, რომ ერთი უბრალო ადამიანი ვარ და თუ ამ საკითხზე ყველა თავს დამანებებს კარგი იქნება.

**ნიკა ბერძენიშვილი**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“**

# ნაციონალები ოპონენტებს ევროპარლამენტარების დახმარებით ებრძვიან

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ყოფნა სიტყვით მიმართოს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობების საკითხთა კომიტეტს.

ამ დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „მე მესმის ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთი წევრის შეშფოთება საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო. ჩვენ საქმე გვაქვს კოჰაბიტაციის რთულ პერიოდთან, მაგრამ ჩემი ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს სასიცოცხლო მნიშვნელობის დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად. 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს მოქალაქეებმა ცალსახად უარყვეს წარსულის პოლიტიკა და კანონიერი სახე მისცეს ჩვენს პროგრამას ელიტარული კორუფციისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღმოსაფხვრელად. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ჩვენი ევროპელი პარტნიორები მხარს დაუჭერდენენ იმ ღირებულებებს, რომლებსაც ჩვენ ვიზიარებთ და პატივს ვცემთ — ეს არის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და სამაგალითო მმართველობის ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების დაცვა. მიუხედავად ამისა, საქმე ალბათ, ისე არ ჩანს, როგორც სიტყვა. ძალიან ვწუხვარ, რომ ევროპარლამენტის ზოგიერთ პატივცემულ წევრს ურჩევნია უსაფუძვლოდ გვაკრიტიკოს და წინასწარ გამოიტანოს ვერდიქტი ჩემი, ჩემი მთავრობისა და ჩემი ხალხის წინააღმდეგ. ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის უპირველესი მიზანია. სწორედ ამიტომ, მზად ვარ, ნებისმიერი ევროპელი ოფიციალური პირის, პარლამენტის წევრისა თუ სხვა კრიტიკოსის მიერ გამოთქმულ საფუძვლიან ბრალდებას ვუპასუხო და მოვისმინო ნებისმიერი რეკომენდაცია, რომელიც დაგვეხმარება სტაბილური, დემოკრატიული საქართველოს აშენებაში. ევროკავშირისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, აგრეთვე ოპოზიციური პარტიის კონსტრუქციული ჩართულობით, ჩვენ შეგვიძლია, განვამტკიცოთ კავშირები და ურყევად განვაგრძოთ გზა ევროკავშირისკენ და ისეთი საქართველოსაკენ, რომელიც სტაბილურობის გარანტი იქნება კავკასიის რეგიონში. მე გულწრფელად მივესალმები ევროპის სახალხო პარტიის მოწოდებას ყოვლისმომცველი დიალოგისკენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის, და ვიმედოვნებ, რომ ჩვენი კრიტიკოსები გააცნობიერებენ, რომ არასწორად ესმით ჩვენი ხელისუფლების მოქმედებები და მოტივაცია. მჯერა, რომ ერთად ჩვენ შევძლებთ ისეთი სამოქმედო გეგმის შექმნას, რომელიც მაღალ ევროპულ სტანდარტებს დაეფუძნება და დაგვეხმარება კონსტრუქციულ თანამშრომლობაში, რათა მიღწეულ იქნეს ეს სტანდარტები საქართველოსა და ზოგადად, ევროპის სასიკეთოდ, — ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ხელისუფლებამ ევროპის სახალხო პარტიის“ 14 მარტის დეკლარაციასაც გასცა პასუხი. ეს თემა ალბათ კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური. სახალხო პარტიის წარმომადგენლები კიდევ ერთხელ აპირებენ ივანიშვილისთვის წერილის მიწერას.

მეოცნებეებს წინა კვირაში ამ წერილების გამო უკვე შემოეკრიტიკალ ევროპალამენტარები. კობა დავითაშვილი ამბობს რომ ეს ის ხალხია, რომლებსაც სააკაშვილი წლების განმავლობაში უხდიდა ფულს. კრიტიკა არც სხვებს დაუკლიათ. რამაც ნაციონალები შეაშფოთა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიგი წერეთლის განცხადებით, ძალიან ფრთხილი უნდა იყოს ნებისმიერი განცხადება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ევროპის მისამართით გააკეთებს.

— იმ ეტაპზე, როდესაც ჩვენ ასე ახლოს ვართ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პროცესის დასრულებასთან და გადამწყვეტი ეტაპი დგება, ძალიან ფრთხილი უნდა იყოს ნებისმიერი განცხადება, რომელსაც საქართველოს ხელისფლება გააკეთებას ევროპის მისამართით. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ ,,ევროპის სახალხო პარტია“ ეს არ არის ერთი პოლიტიკური გაერთიანება, ეს არის 74 პარტიის გაერთიაება და ყველაზე დიდი ევროპული პარტიური სტრუქტურა და პლატფორმა. ამიტომ აქ ასეთი ენით საუბარი, რომ მათ არა აქვთ უნარი დასკვნები გააკეთონ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ძირშივე მცდარია, — აცხადებს გიგი წერეთელი.

მისი კოლეგა უმრავლესობიდან, ზურაბ ჯაფარიძე კი სულ სხვა აზრისაა. მისი აზრით, ევროპარლამენტარებისთვის ცალმხრივი ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა გრძელდება.

— ეს არის სუბიექტივიზმი, როდესაც ცალმხრივადაა ინფორმაცია მიწოდებული ჩვენი ოპოზიციის მხრიდან. წარსულშიც ხშირად მიეწოდებოდათ მათ ინფორმაცია ცალმხრივად. ეს პრაქტიკა გრძელდება. ამიტომ ჩვენ სისტემატურად ვურთიერთობთ ამ პარტიის წარმომადგენლებთან, — აცხადებს ზურაბ აბაშიძე.

საინტერესოა რას ჩაწერენ ევროპარლამენტარები ახალ წერილში. ასევე საინტერესოა იტყვიან თუ არა რამეს სერგო თეთრაძის საქმეზე რამეს. ცოტა ხნის წინ დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა ევროპარლამენტარებს სათითაოდ გაუგზავნა ეს საქმე. თავიანთ პირველ წერილში 23 ევროპარლამენტარმა ეს ამბავი არც კი ახსენა.

ყველამ ვიცით რომ სააკაშვილი ევროპის სახალხო პარტიასთან არის ჩახუტებული. და ახლა ევროპარლამენტარებს პოლიტიკურ ოპონენტებთან საბრძოლველად იყენებს. ადრე როგორც წესი ზონდერებს ანიჭებდნენ უპირატესობას.

# მე–17 საუკუნეში ჩარჩენილი ოჯახი

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

დოკუმენტურად თუ მივყვებით 16 მარტის მოვლენებს, რომელიც ჩემს მცირე ოდისეას თან სდევდა, დამერწმუნებით, რომ გულგრილი ვერ დარჩებით.

არც ისე დიდი ხნის წინ ერთი ჩემი მეგობარი ჟურნალისტი დაჟინებით მეუბნებოდა, რომ მენახა სიუჟეტი სოციალურად დაუცველი ოჯახის შესახებ, რომელიც მის მიერ იყო მომზადებული ტელეკომპანია „მეცხრე არხისთვის.“ რადგან საქართველოში დაუცველობით ვერავის გააკვირვებ და ჩემ გარშემო გაჭირვებულთა არმია ტრიალებს, სიუჟეტის ნახვაზე უარს ვამბობდი. ახლო მომავალში, 6 აპრილს, ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვებისათვის მეგობრებთან ერთად ქუთაისში ღონისძიების ჩატარებას ვაპირებ და დროებით ყველამ თავი დამანებეთ-მეთქი, – მკვახედ ვუპასუხე „მოძალადეს“.

დაახლოებით ერთი კვირის წინ ისევ მომწერა, რომ იმ სიუჟეტის გმირები შიმშილობის პირასაა და იქნებ მიხედოო. საჩხერეში შიმშილობა იმდენად მოულოდნელობაა ჩემთვის, როგორც თეთრი ყვავი და სად შეიძლებოდა მომხდარიყო ეგეთი რამ, ვერ ვიჯერებდი. დღეს სამი კილო კარტოფილის ამარა დაბრუნდა თინიკო კახეთელიძე სამ ბავშვთანო. ეს უკვე გადამწყვეტი გახდა იმისათვის, რომ სიუჟეტიც მენახა და საჩქაროდ დამეწყო ციცქიშვილების ოჯახზე ზრუნვა. „ფეისბუქზე“ ემოციური ნოუთი დავწერე, „მეცხრე არხის“ სიუჟეტის ბმულიც დავურთე და ჩემი ანგარიშის ნომერიც გამოვაქვეყნე. საბედნიეროდ, გამოქვეყნებულ ჩანაწერს გამოხმაურება მოჰყვა. სამიოდე დღეში 210 ლარი და 300 დოლარი მოგროვდა. ეს არც ისე პატარა თანხაა და ხუთსულიანი ოჯახისთვის რამდენიმე თვის საკვების ყიდვა შეიძლებოდა. პირველი, ვინც გამომეხმაურა, იურიდიული კომპანია „თემიდა“ გახლდათ, მისმა დამფუძნებელმა მორიდებით აღნიშნა, რომ 100 ლარი ძალიან ცოტაა და თვის ბოლოს ისევ გადმოვრიცხავთო. ამით იმედმიცემულმა უზარმაზარი პასუხისმგებლობა ავიღე და გადავწყვიტე, რომ სხვის ფიცრულში მცხოვრების ადამიანებისათვის სახლის შეძენაზე მეზრუნა. ციცქიშვილების ოჯახს ყველაზე მეტად საკუთარი ჭერი უნდათ, რომელსაც ვერავინ ვერასდროს შეეცილება და ვერ ეტყვიან: დროა, დაცალოთ ჩემი შენობა!



როგორც მოგვიანებით გავიგე, საჩხერიდან დაახლოებით 30 კილომეტრში მდებარე ნასოფლარში 30 წლის რამაზ ციცქიშვილი შორეული ნათესავის ფიცრულს მის შემდეგ შეხიზვნია ცოლ-შვილით, სახლი რომ დაეწვა ხაშურის სოფელ ფლევში.

პირველ რიგში საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელს დავურეკე და სიტუაცია გავაცანი. მან მითხრა, რომ მუნიციპალიტეტი სამას ლარს გამოუყოფდა ოჯახს. სად შეიძლება, რომ გადასახლდნენ ციცქიშვილები, ვფიქრობდი ჩემთვის. საჩხერეში უსაშველოდ გაძვირდა უძრავი ქონება და საყურადღებო იყო ისიც, რომ ბავშვებს მალე სასკოლო ასაკი მოუწევთ, სკოლა კი მათი ამჟამინდელი ბინიდან 12-14 კილომეტრშია. რთული კლიმატი, უგზოობა, მგლებით სავსე ტყე და უდენობა მდინარე ძირულას ხეობის ზემო ნაწილისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. გასული საუკუნის 50-იან წლებში სოფელი ჩონთო და ურუნა მარნეულის რაიონში გაუსახლებიათ, კანტიკუნტად დარჩენილი პატარა სახლები უზარმაზარ ფართობზე ფეტვის მარცვლებით არის გაფანტული. ამ სახლებს ძირითადი მაცხოვრებლები არ ჰყავს, სეზონურად ამოდიან მესაქონლეები, კაკლის მბერტყავები და ჯონჯოლის შემგროვებლები.

როცა საკვებით „ნივის“ საბარგული გავავსეთ და საჩხერიდან გავედით გომის მიმართულებით, მდინარე ძირულას ხეობას ავუყევით. ლიხის ქედზე ყველაზე მაღალ მთა პერანგამდე ბევრიც აღარ გვიკლდა მისვლას, როცა ციცქიშვილების დროებითი საცხოვრებელი ფერდობზე შევნიშნე. თანამგზავრებს, კახასა და ალექსანდრეს, ხეობის ისტორია გამოვკითხე. თურმე ამ ხეობაში გზა სატყეო მეურნეობას გაუჭრია. ერთ-ერთ ადგილას კეთილმოწყობილი სახლიც ჩანდა, ივანიშვილის საკუთრებააო. მარწყვისა და ჟოლოს ნაყოფი აქ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში მოჰყავთ და ყარაული ზაფხულობით დარაჯობს აქაურობასო. ძირულას მარჯვენა სანაპიროზე, დაახლოებით მაგისტრალიდან 7 კილომეტრში გუმბათჩამონგრეული განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაც დგას.

ერთი საათი მაინც მოვუნდით ასფალტირებული გზიდან დანიშნულების ადგილამდე მისვლას. მძღოლმა თავისი მანქანის გამოცდა გადაწყვიტა და მოდიდებულ ყვირილაში შებედა. შუა მდინარეში ავტომობილი ჩაქრა. ყურებჩამოყრილი ვუყურებდი სიტუაციას და ბედად, შეშაზე ამოიარა სატვირთო მანქანამ. ასეთი შანსის დაკარგვას, ბუნებრივია, ხელიდან არ გავუშვებდით!

ფიცარჩატეხილ ქანაქარა ხიდზე გადავიარე და არე-მარეს გადავხედე. პეიზაჟი იყო ერთნაირი–მხოლოდ ტყიანი ქედები იყო ირგვლივ. სულ ახლოში 2008 წლის ომის დროს რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდნილა, აქვე გაუბაწრავთ ქართველ ძალოვნებს ხეებზე პარაშუტით გაჩხერილი რუსი მფრინავი. ფარღალალა შენობას, რომელსაც 2 წელია ციცქიშვილები იყენებენ, საზაფხულოდ კიდევ არა უშავს, სიცივის დროს დღედაღამე ალბათ სულ უნდა ენთოთ ცეცხლი, მით უფრო–თუ სახლში მცირეწლოვნები არიან.

ნაკლებადკონტაქტურმა ბავშვებმა მაინც გადალახეს სიმორცხვე, ფოტოაპარატის ობიექტივს ნათელი მზერა შეაგებეს. საბა, სანდრო და თამაზი სახლისკენ გამიძღვნენ, იქ ციცქიშვილების ყველაზე ახლო მეზობელი, ზოია შეყლაშვილიც დაგხვდა (ეს უახლოესი მეზობელი კილომეტრის იქით ცხოვრობს და გაგრიდან ლტოლვილობის გამო უწევს ნასოფლარში ცხოვრება). სიდუხჭირის მიუხედავად სახლში ყველა ნივთი თავის ადგილას იდო და სისუფთავის კვალი აჩნდა ყველაფერს.

თინიკო კახეთელიძე მორიდებით მეუბნებოდა: ალბათ იფიქრებ, როგორ გავყევი კაცს ცოლად, რომელსაც არაფერი გააჩნდა. რამაზი თავის ამბავს გულწრფელად მომიყვა, მერე შემეცოდა თუ რა დამემართა, არ ვიცი და ძალიან შემიყვარდა. ვცადე, მეურნეობა მომეწყო, ერთხელ 70 ლარი გადავიხადე ბურვაკში, ჯონჯოლში აღებული ფული მქონდა, მეორე ნაწილად ამდენივე მის შემდეგ უნდა მიმეცა, გოჭიანობა რომ ექნებოდა. მაგრამ სახლთან ახლოს, აქვე, წყაროსთან მგელმა დამიკლა და ვალი შემრჩა. ახლა ის რომ ვიცოდე, რომ საკუთარი სახლი მექნება, კიდევ გავბედავდი რამეს. ბავშვები იზრდებიან და სკოლაც ახლომახლო არსადაა. თან სახლი უნდა დავცალოთ, მეპატრონეს სჭირდება და ჩვენ რა გვეშველება?!

მეზობელმა ქალმა მორიდებით მითხრა, ამ ხალხს ყურადღება იქნებ მიაქციო, ვიცი, რომ ცდილობ სახლის შეძენას და სადაც წაიყვანთ, არ შეგარცხვენენ. ზამთრობით ამათ ვუტოვებთ სახლებს, მაგრამ არ გეგონოს, ერთი ნივთი დაგაკლონ და სახლში წამოიღონო.

ჩემი სათქმელი მე მაინც ვთქვი: ჩემს მეგობრებზეა დამოკიდებული ამათი სახლის ფულის მოგროვება, სახლი უკვე შერჩეული მაქვს და სოფელიც მიეხმარება მეურნეობის მოწყობაში, თუ ვერ მოვაგროვე სრული თანხა, რაც მექნება, იმას მივცემ და ცოტახანს ქირით მაინც იცხოვრებენ-მეთქი.

ვიცი, რომ ციცქიშვილებს ახლა ყველაზე მეტად სახლი სჭირდებათ, სახლის ყიდვას კი–ფული. „ახალი თაობის“ მკითხველებს ვთხოვ, თუ მათ სურვილი და შესაძლებლობა ექნებათ, თუნდაც 10 ლარის გადმორიცხვაც ბევრს ნიშნავს. იმის გამო, რომ ანგარიშის გახსნა ციცქიშვილების სახელზე შეიცავს ასე თუ ისე რისკს (შემოსავლებიდან გამომდინარე, შესაძლოა, სოციალური დახმარება მოეხსნა).

ისტორიკოსები ამბობენ, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე მძიმე მე-17 საუკუნე იყოო. იქნებ მე-17 საუკუნის საქართველოდან ციცქიშვილების ოჯახი გადავიყვანოთ 21-ე საუკუნეში.

# ბილაინი ექვსი წლისაა

**„არნახული გამოფენა“, უამრავი სტუმარი, „ბილაინის“ ფერებში მორთული საზეიმო ტორტი და ფეიერვერკები — ასე აღნიშნა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინმა“ 6 წლის იუბილე.**

**„6 წელი — დაუღალავი შრომის,**
**6 წელი — წინსვლის,**
**6 წელი — წარმატების**

**— აი, ასე შემიძლია შევაფასო განვლილი წლები. შედეგი კი გვაქვს ის, რომ 6 წლის თავზე მილიონზე მეტი ადამიანი ენდო ჩვენს ქსელს. ჩვენთვის ეს ნამდვილად დიდი მიღწევაა“, — განაცხადა „ბილაინის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ტყეშელაშვილმა.**

„ბილაინის“ დაბადების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება „საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის“ მუზეუმში 15 მარტს გაიმართა. ამ დღეს მუზეუმის ეზო და დარბაზები მთლიანად ყვითელ და შავ ფერებში იყო გაწყობილი, ეზოში იყო უამრავი ნარცისი. სტუმრების განწყობაზე კი მუსიკალური ბენდი ზრუნავდა.

ნოვატორული იდეების კომპანიამ დაბადების დღე ასევე ნოვატორული — „არნახული გამოფენით“ აღნიშნა. გამოფენა, რომელიც 15 მარტს გაიხსნა და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება, დამთვალიერებელს კომუნიკაციის მისტიურ სამყაროში აღმოჩენის შესაძლებლობას აძლევს. გამოფენის თემა „კომუნიკაციაა“, როგორც ხელოვნების ობიექტი და მედიუმი, რომელზეც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დიდი ნაწილია დამოკიდებული. ამ გამოფენის კონცეფციაც, თანამედროვე კუთხით „კომუნიკაციის“ დანახვის მცდელობაა. გამოფენაზე დამთვალიერებელი თანამედროვე კომუნიკაციის პირველწყაროებთან აღმოჩნდება, მისი პროგრესის მომსწრე გახდება და იმოგზაურებს მომავალში.




„საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის“ მუზეუმში დამთვალიერებელი ნახავს ძველ ტელეფონებს, „ლედი-ბილაინს“, სპეციალურად მომზადებულ ფილმს, სატელეფონო ჯიხურებს და ყველაფერ იმას, რაც სატელეფონო კომუნიკაციას უკავშირდება. იდეის ავტორი „ბილაინია“, გამოფენა კი მხატვარ ნატო ერისთავის მიერ მომზადდა.

„როდესაც გავიგე, რომ „ბილაინი“ თანამედროვე გამოფენის მოწყობას აპირებდა და ამაზე შეთავაზება მივიღე, ძალიან გამეხარდა და დავთანხმდი კიდეც. რატომ? იმიტომ, რომ მე, როგორც მხატვარს უამრავი იდეა მაქვს და მათი განხორციელების საშუალება ნაკლებად მეძლევა. „ბილაინმა“ მომცა საინტერესო შანსი, რომ ერთ-ერთი ჩემი იდეა განმეხორციელებინა, მისი ვიზუალიზაცია მომეხდინა და დამთვალიერებლისთვის მესიამოვნებინა. ძალიან მიხარია, რომ „ბილაინს“ აქვს ეს სწორი, საინტერესო ხედვათანამედროვე კონცეპტუალური ხელოვნება ძალიან იშვიათია თბილისში და ამიტომ შევეცადე, რომ მიუხედავად მცირე დროისა, ეს ყოფილიყო საინტერესო“, — ამბობს ნატო ერისთავი.

„ბილაინისთვის“ 6 წელი იყო დაუღალავი შრომის, წინსვლის და წარმატების“, — აცხადებს კომპანიის გენერალური დირექტორი, გიორგი ტყეშელაშვილი და აქვე დასძენს, რომ მომავალში კომპანია საკუთარ აბონენტებს კიდევ ბევრ სიურპრიზს მოუმზადებს.

„ამ 6 წლის მუშაობის შედეგი არის ის, რომ დღეს მილიონზე მეტი ადამიანი ენდო ჩვენ ქსელს. . ჩვენთვის ეს არის დიდი მიღწევა, ეს არის დიდი ნდობა. ეს არის შედეგი ინოვაციური მიდგომების, ძალიან ინტენსიური მუშაობის, საქართველოს მოქალაქეებისთვის აქტიური და ხელსაყრელი წინადადებების შეთავაზების.

„რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ეს არის განვითარება, ახალი სერვისების, ახალი სატარიფო გეგმების შეთავაზება. იმისათვის, რომ უფრო საინტერესოები ვიყოთ, მომხმარებელს სიახლე მუდმივად უნდა შესთავაზო. 6 წელია მოსახლეობა და მომხმარებელი გვიცნობს, როგორც ინოვაციურ კომპანიას, ჩვენ ამას მომავალშიც დავამტკიცებთ“, — განაცხადა ტყეშელაშვილმა.

„დღეს ბილაინი 6 წლის გახდა, 6 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „ბილაინმა“ საქართველოში კომერციული ექსპლუატაცია მოახდინა. ძალიან მიხარია, რომ ამ 6 წლის განმავლობაში ბევრი ადამიანის გული მოვიგეთ დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე ეს რიცხვი არითმეტიკული პროგრესით გაიზრდება.

„რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ვგეგმავთ, რომ გაფართოვდეს ჩვენი სატელეფონო ბიზნესი. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მიმართულებას, რომელიც არის ინტერნეტზე ორიენტირებული. „ბილაინი“ თავის ტრადიციას არ ღალატობს, უკვე 6 წელია ვთვლით, რომ ვართ ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური კომპანია და ამ ნოვატორობას და დინამიკას კიდევ ბევრი ახალი ფერი შეემატება“, — ამბობს „ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თეონა ბალდავაძე.

„ბილაინის“ საიუბულეიო საღამოზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ კომპანიის რიგითი თანამშრომლებიც, რომლებიც ერთხმად აცხადებდნენ, რომ მათთვის ამ კომპანიაში მუშაობა საკუთარი თავის რეალიზებას, პროფესიონალ გუნდთან მუშაობას, ურთიერთობებს და მართლაც დიდი სინათლეს ნიშნავს.






# ულირსების ღირსება

**ქართული, პოლიტიკური წესების გარეშე ბრძოლის შემყურე საზოგადოებამ, რომლის გაკვირვება უკვე თითქმის შეუძლებელია, ამ დღეებში კიდევ ერთი შოკი მიიღო, რომელმაც მის ცნობიერებაში გაურკვევლობის საკმაოდ სქელი ბურუსი დააყენა.**

გაურკვევლობა კი იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ეს შოკი ქართველმა ხალხმა, ვისგანაც ყველაზე ნაკლებად ელოდებოდა სწორედ მისგან, ანუ ბიძინა ივანიშვილისგან მიიღო.

საქმე, პრემიერ-მინისტრის მიერ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ კომენტარს ეხება, სადაც ბატონმა ივანიშვილმა, სასამართლო სისტემაში კუბლაშვილის დამსახურებებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ის აღნიშნულ თანამდებობაზე, თავის ვადას ბოლომდე და ღირსეულად მოიხდის.

კოტე კუბლაშვილის ღირსების შესახებ განცხადება რომ მიხეილ სააკაშვილს გაეკეთებინა, ის მყისვე გახდებოდა საზოგადოების ახალი აგრესიის საბაბი, ხოლო ივანიშვილისგან გაკეთებულმა განცხადებამ, ხალხში გაუგებრობა გამოიწვია.

ვფიქრობ ეს ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი განცხადებაა პრემიერის მხრიდან მისი პოლიტიკაში მოსვლის დღიდან მოყოლებული, როცა ივანიშვილის განცხადება ხალხმა მკვეთრად ნეგატიურად მიიღო.

ამის მიზეზი კი ისაა, რომ კუბლაშვილის ღირსებაზე და მის დამსახურებაზე, სრულიად საქართველოს, თავისი შეხედულება ჩამოყალიბებული აქვს და ამ შეხედულებას, მას თუნდაც ისეთი პიროვნების განცხადებაც კი ვერ შეუცვლის, როგორიც პრემიერია.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კოტე კუბლაშვილი, თავის ვადის ამოწურვამდე, თემიდას პოზაში, ხმლით და სასწორით ხელში გაუნძრევლად და უსმელ-უჭმელადაც რომ დადგეს, თავის ცოდვებს მაინც ვერ გამოისყიდის.

ისე კი, თუ ის გადაწყვეტს და თემიდას პოზაში მართლაც დადგება, თვალების ახვევა აღარ დასჭირდება, რადგან თავის დროზე მან თვალებიც და ყურებიც მეტის გულმოდგინებით, საკუთარი ინიციატივით, მიხეილ სააკაშვილის საამებლად აიხვია.

რაც შეეხება ბატონი კუბლაშვილის დამსახურებას თავისუფალი სასამართლოს ჩამოყალიბების გზაზე:

-სამწუხაროდ, ამ გზაზე კუბლაშვილი თავისი პრეზიდენტის მიერ დაწყებული საქმის – ანუ თავისუფალი სასამართლოს მკვლელობის წარმატებული გამგრძელებელი აღმოჩნდა და იმდენს მიაღწია, რომ სასამართლო ხელისუფლება პროკურატურის ნოტარიატად აქცია. ნებისმიერი პროკურორის ან პროკურატურის გამომძიებლის ნებასურვილი, ან თუნდაც ჟინი, ნებისმიერი მოსამართლისთვის კანონი და კანონზე მაღლა მდგომი ცნება იყო.



ნურავის ნუ დაავიწყდება, რომ სწორედ კუბლაშვილის მოსამართლეები იყვნენ მიშას ის ლაქიები, რომლებიც მის ნებისმიერ ახირებას – „ამას სიკვდილი – იმას ჩამოხრჩობის“ პრინციპით აკმაყოფილებდნენ.

ჩვენი სასამართლო სისტემის ნაყოფია მოსამართლე ბატონი – ჩემია, რომელსაც ერთ დროს ქვეყანა მართლაც თავისი ეგონა და გირგვლიანის ისედაც გამოუძიებელი საქმისთვის საბრალდებო სკამზე იძულების გამო დამსხდარ პირებს, სასამართლო პროცესზე მობილური ტელეფონებით ინსტრუქციების მიღების საშუალებას აძლევდა.

ეს ის მოსამართლეები არიან, რომლებიც 2011 წლის ავადსახსენებელ 26 მაისს, დილის 3 საათზე საწოლებიდან წამოყარეს და ნაცემ-ნაბეგვი და დასახიჩრებული უდანაშაულო ხალხისთვის საპატიმრო ვადები ჩამოარიგებინეს.

ბატონ პრემიერს აუცილებლად უნდა გასჩენოდა კითხვა, რომ, თუ კოტე კუბლაშვილის უწყება, თავის ფუნქციებს თუნდაც სანახევროდ მაინც ასრულებდა, რატომ მოუწია მას ათასობით ადამიანის ციხიდან გამოშვება? სხვათა შორის ამ ადამიანებს უდანაშაულოებს სწორედ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები უწოდებდნენ და უწოდებენ, რაშიც სრულად უნდა დავეთანხმოთ. ის ათასობით ადამიანი კი, ციხეში, სწორედ კუბლაშვილის მოსამართლეებმა ჩაყარეს და მათ მომავალი მოუსპეს.

უფრო მეტიც, სწორედ ეს მოსამართლეები და სწორედ ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომლის დამსახურებაზეც პრემიერმა ისაუბრა, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ, მზად იყვნენ იმავე პრემიერის მხარდამჭერებისთვის, თუნდაც ცოცხლად დაწვის განაჩენი გამოეტანათ ამის შესაძლებლობა კანონს რომ მიეცა.

კუბლაშვილმა შექმნა სასამართლო სისტემა, რომელსაც თავმოყვარეობა საერთოდ არ გააჩნდა და არათუ მესამე ხელისუფლებად, არამედ პირველი და მეორე ხელისუფლების ხასად ჩამოყალიბდა.

საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, თუ როგორ მიუსაჯა ერთ-ერთმა ულირსმა ვაიმოსამართლემ ერთ-ერთ პოლიტიკური ნიშნით დაკავებულ პირს სრულიად უმიზეზოდ, მტკიცებულებების გარეშე, 12 წელი, ხოლო პატიმრის მოხუცი დედის ტირილს თვით სასამართლოს მანდატურებმაც კი ვერ გაუძლეს და პროცესის დამთავრების შემდეგ თავჩაღუნულებმა დატოვეს დარბაზი. ასეთი ღირსების მოსამართლეები ყავდა მიხეილ სააკაშვილს და სწორედ ასეთ მოსამართლეებს ხელმძღვანელობდა კოტე კუბლაშვილი წლების განმავლობაში.

ნებისმიერი უფლებადამცველი, კითხვის დასმისთანავე, შეუსვენებლად, მინიმუმ 50 კონკრეტულ შემთხვევას მაინც დაასახელებს, როცა მოსამართლემ, მტკიცებულებების გარეშე, ადამიანს მომავალი მოუსპო და ციხეში გამოკეტა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ის ცოდვის ტრიალი, რაც ბოლო წლების განმავლობაში თუნდაც თბილისის საქალაქო სასამართლოში ხდებოდა, ხოლო ადამიანების და მათი ოჯახების გამამწარებელ მოსამართლეებს სინდისის ჯენჯნაც კი არ ეტყობოდათ.

ეს ის მოსამართლეები არიან, რომელთა ზეობის პერიოდშიც, საქართველოში გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა პრაქტიკულად ნულამდე იყო დასული.

საუბარი ამ მოსამართლეები ღირსებაზე, დაახლოებით იგივეა, რაც საუბარი გასული საუკუნის 30-იანი წლების ე.წ. „ტროიკის“ ღირსებასა და ჰუმანურობაზე. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ, თუ სტალინის დროინდელ მოსამართლეებს უფლება ჰქონდათ უკანონო და უდანაშაულო პატიმრისთვის სიკვდილი მიესაჯათ, სააკაშვილის დროინდელ მოსამართლეებს, ეს უფლება დე იურე აღარ ჰქონდათ, თუმცა ჯერ კიდევ საკითხავია სწრაფი სიკვდილი სჯობს თუ ისეთი ყოფა, როცა დღეში სიკვდილს 100-ჯერ ინატრებ.

მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება საქართველოში ავტორიტარული რეჟიმისთვის სამარის გათხრა, ქართველ ხალხს მის მიერ კუბლაშვილთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებული განცხადების გაგება მაინც გაუჭირდა.

პირველ რიგში კი გაუჭირდა იმ ხალხს, ვინც სააკაშვილის რეჟიმს, სრული უიმედობის პერიოდშიც კი, შეუპოვრად ებრძოდა, რომლებიც ვერც ფულით იყიდეს და ვერც დაშინებით გააჩუმეს. ამ განცხადებამ პირველ რიგში სწორედ იმ ხალხზე იმოქმედა, რომლებსაც მიხეილ სააკაშვილმა, სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა, გასანეიტრალებლად, სწორედ „ღირსეული კუბლაშვილის“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის პერიოდში, მისი ლაქია და მონა მოსამართლეების მეშვეობით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა და ცხრაკლიტულში გამოამწყვდია.

მართალია ამ ხალხის პატიმრობიდან გათავისუფლება სწორედ რომ პრემიერის დამსახურებაა, თუმცა ამ განცხადებამ მათ თავმოყვარეობაზე ნამდვილად იმოქმედა. არადა ეს ის ხალხია, რომლებმაც ღირსება არაფრის დიდებით არ დათმეს და სწორედ ამიტომაც გახდა იძულებული სააკაშვილი, თავისი გოშია მოსამართლეების მეშვეობით ისინი ციხეში ჩაესვა.

სხვათა შორის ყურადსაღებია კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია: – თუ ამ შეხვედრამდე საპარლამენტო უმრავლესობის წევრები და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები თითქმის ყოველდღე საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ რა მანკიერი სასამართლო სისტემა გვაქვს და მოსამართლეებიც, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს როგორ ათავისუფლებენ სასამართლოს დარბაზებიდანვე გირაოს სანაცვლოდ, დღეს საეჭვოდ გაჩუმდნენ, ან უარეს შემთხვევაში რიტორიკა შეიცვალეს.

ცხონებული გურამ ფანჯიკიძის ერთი იუმორესკა მახსენდება, რომელიც სავარაუდოდ ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდშია დაწერილი. ბატონი გურამი, მისთვის ჩვეული მახვილი კალმით აღწერდა ერთი გათახსირებული კაცის ამბავს, რომელიც „პერესტროიკის“ შემდეგ შეიცვალა და გამოსწორდა. ამის გამო ამ ადამიანს პრესა და საზოგადოება ქება-დიდებას ასხამდა, ხოლო მის გვერდით მყოფი პიროვნება კი, რომელიც „პერესტროიკამდეც“ და „პერესტროიკის“ შემდეგაც პატიოსანი და წესიერი ადამიანი იყო, სამწუხაროდ არავის შეუმჩნევია.

ერთი წუთითაც რომ დავიჯეროთ, რომ ბატონ კუბლაშვილში ნამდვილად მოხდა სერიოზული ტრანსფორმაცია და ის დემოკრატი გახდა, რატომ უნდა გავხადოთ ის ქება-დიდების ობიექტად, როცა მისი წარსულიდან გამომდინარე, სწორედ მის სინდისზე, ათასობით უდანაშაულო ადამიანი და ათასობით გამწარებული ოჯახია.

გასაგებია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბატონი პრემიერის აღნიშნული განცხადება შესაძლებელია სულაც ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე იყო ნაკარნახევი, მაგრამ ვფიქრობ მსგავსი განცხადებით არ უნდა დაიკარგოს გაცილებით უფრო დიდი – ნდობა და რწმენა.

იმ ხალხის მდგომარეობის გათვალისწინებით კი, ვინც სწორედ სააკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლოს მსხვერპლი გახდა, მსგავსი განცხადებებით ნდობისა და რწმენის დაკარგვის ალბათობა ძალიან დიდია.

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“**

**ალეკო ჩუბინიძე**

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: LBRTGE22**
**ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599978546.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# საქართველოს სტენდი ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს სტენდი ოფიციალურად გაიხსნა. „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ლაიფციგის წიგნის ბაზრობის ფარგლებში გაიმართა გერმანიაში გამოცემული ქართველი ქალი მწერლების ანთოლოგიის „იაგუარების ტქენო“ პრეზენტაცია. ავტორებს შორის არიან ნინო ხარატიშვილი, ეკატერინე ტოგონიძე, თამთა მელაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, ეკატერინე თხილავა, მაკა მიქელაძე და ნესტან (ნენე) კვინიკაძე. წიგნი გერმანულ ენაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, წიგნის რამდენიმე ავტორი, რედაქტორები მანანა თანდაშვილი და იოს გიპერტი და წიგნის ბაზრობის სტუმრები.

ლაიფციგის წიგნის ბაზრობის ფარგლებში, ასევე შედგა ზაზა ბურჭულაძის რომანის „გასაბერი ანგელოზი“ საჯარო კითხვა. წიგნი გერმანულ ენაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

ქართული სტენდის გახსნამდე კი ლაიფციგში გაიმართა წიგნის ბაზრობის გახსნის ოფიციალური საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია დაესწრო. ღონისძიებას ქალაქ ლაიფციგის მერი ბურკჰარდ იუნგი, საქსონიის პრემიერ-მინისტრი სტანისლავ ტილიჰი, გერმანელი გამომცემლებისა და წიგნის გამავრცელებლების ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი გოტფრიდ ჰონეფელდერი ესწრებოდნენ. ლაიფციგის მერმა მისასალმებელ სიტყვაში გურამ ოდიშარიას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილეობისა და საქართველოს ამ ფესტივალში ჩართულობისათვის.







წიგნის ბაზრობაზე დაიგეგმა მინისტრისა და ქართული დელეგაციის – კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელმძღვანელის მედეა მეტრეველისა და გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის ლაშა ბაქრაძის ოფიციალური შეხვედრები ლაიფციგის წიგნის ბაზრობის დირექტორთან ოლივერ ცილესთან, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ვიცე პრეზიდენტთან ტობიას ვოსთან და ცნობილ გერმანელ ლიტერატურის კრიტიკოსებთან, ჟურნალისტებსა და გამომცემლებთან.

დელეგაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით, ლაიფციგის წიგნის ბაზრობის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისი საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრა. დელეგაციაში გაერთიანდნენ კულტურის სამინისტროს ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი, ქართველი მწერლები, „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ წევრები შედიან.

ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველო უკვე მეორედ წარდგა ეროვნული სტენდით.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით აღნიშნულ ბაზრობაზე საქართველოს მონაწილეობას ორგანიზებას უწევს „საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია“. საქართველოს ეროვნული სტენდის პარალელურად, სხვადასხვა ფორმატში ქართველი ავტორების და მათი ნაწარმოებების პრეზენტაციებიც შედგა. ღონისძიებები გაიმართა, როგორც ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე, ასევე ქალაქ ლაიფციგის ლიტერატურულ სალონებში, სადაც შედგა 7 ავტორის – ზაზა ბურჭულაძის, დათო ტურაშვილის, ანა კორძაია-სამადაშვილის, ნინო ხარატიშვილის, თამთა მელაშვილის, ეკატერინე ტოგონიძისა და ბონდო მაცაბერიძის 7 ლიტერატურული საღამო. ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული წიგნის განვითარებისა და ქართველი ავტორების უცხოელ გამომცემლებთან წარმატებული თანამშრომლობისთვის, ასევე სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოდგენილი კოლექტიური სტენდით უამრავი ადამიანი, მკითხველი თუ გამომცემელი ეცნობა ახალ გამოცემებს, ახალ ავტორებს, იღებს ინფორმაციას ქვეყნისა და მისი კულტურის შესახებ, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

წიგნების თემატიკა და მათი გამოფენა გაგრძელდა თბილისშიც. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩერქეზული ენისა და კულტურის დღის აღსანიშნავად მოეწყო თბილისში გამოცემული ჩერქეზული თემატიკის წიგნების გამოფენა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა „ჩერქეზული გზამკვლევის“ პრეზენტაცია. სამეცნიერო-პოპულარულ ენაზე შესრულებული ეს ნაშრომი გამოსაცემად მომზადდა ჩერქეზული კულტურის ცენტრის მიერ. მდიდარი და მრავალფეროვანი ფოტომასალით დასურათებული ინფორმაციული გზამკვლევი საშუალებას იძლევა გაიცნოთ ჩერქეზეთი, მისი ისტორია, კულტურა, ტრადიციები და თანამედროვეობა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საგანგებოდ მოწვეული სტუმრები ჩერქეზული რესპუბლიკებიდან, თბილისის ჩერქეზული საზოგადოება, კულტურის მოღვაწეები, პროფესორები, სტუდენტები და დაინტერესებული პირები. ღონისძიება ჩერქეზული კულტურის ცენტრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მხატვრის ნელი ბერაიას საქველმოქმედო გამოფენა გაიმართა – „ფერწერა მძივებით“. ექსპოზიცია მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. საქველმოქმედო გამოფენის მხარდაჭერა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდმა ითავა. გამოფენაზე მიწვეული იყვნენ ხელოვანები, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები.

# ფოტოკონკურსი „ქოლგა“ იწყება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„ქოლგა თბილისი ფოტო“-ს მიზანია საერთაშორისო ფოტოგრაფიის, როგორც კლასიკური, აგრეთვე თანამედროვე ფოტოგრაფიული პოზიციების დაკავშირება საქართველოსთან, ქართულ ფოტოგრაფიასთან. საზოგადოებას საშუალება მიეცემა, გაეცნოს როგორც მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკური ფოტოგრაფიის ნიმუშებს, ასევე თანამედროვე უცხოელი და ქართველი ფოტოგრაფების ნამუშევრებს. კონკურსის შედეგად შერჩეული ფოტოების გამოფენასთან ერთად, „ქოლგა თბილისი ფოტო“, ასევე, გამართავს რამდენიმე დიდ და პატარა გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, ისე თანამედროვე პოზიციების ამსახველი ფოტონიმუშები, – აღნიშნავს კონკურსის ორგანიზატორი.

მისივე თქმით, 11 წლის მანძილზე, ფოტოკონკურსის ყოველწლიურად წარმატებით ჩატარების შემდეგ, ბოლო პერიოდის მთავარ მოვლენად „ქოლგას“ კონკურსის რებრენდინგი და „ქოლგა თბილისი ფოტოდ“ გარდაქმნა შეიძლება ჩაითვალოს. 2012 წლიდან, „ქოლგა თბილისი ფოტოს“ ფარგლებში, კონკურსში გამარჯვებული ფოტოების გამოფენასთან ერთად, საქართველოს დედაქალაქი სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ გამოფენას მასპინძლობს, რომლებზეც წარმოდგენილია როგორც ისტორიულად მნიშვნელოვანი ფოტოები, ისე თანამედროვე ფოტოგრაფიის სხვადასხვა პოზიციის ამსახველი ფოტონამუშევრები. 2013 წელს ფოტოკვირეულის ფორმატი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ, როგორც მსოფლიოში სახელგანთქმულ კლასიკური ფოტოხელოვანების ნამუშევრებს, ისე თანამედროვე ამერიკელ, ესპანელ, გერმანელ და ქართველ ფოტოხელოვანების ინდივიდუალურ და ჯგუფურ გამოფენებს. მათ შორის წარმოდგენილი იქნება: ბენედიქტ ჯ. ფერნანდესი (აშშ), მარკ ასნინი (აშშ), ვინსენტ ჩიანი (აშშ), ლუი პალუ (აშშ), ვოლფ ბიოვიგი (გერმანია), ჯონ კასანავე (ესპანეთი), მანელ ესკლუსას (ესპანეთი) ფოტონამუშევრები. „ქოლგა თბილისი ფოტო“ ასევე, უმასპინძლებს შთამბეჭდავ საერთაშორისო ექსპოზიციას „ჩინური ისტორიები“, რომელიც წარმოადგენს 30 ფოტოგრაფის ნამუშევარს ჩინეთის შესახებ. „ქოლგა თბილისი ფოტოს“ ფარგლებში, წარმოდგენილი იქნება იმ ქართველი ფოტოგრაფის რჩეული ნამუშევრები, რომელსაც ქართული ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის წელს „ქოლგა თბილისი ფოტო“ ალექსანდრე როინაშვილის ტრადიციულ პრიზს გადასცემს.

– „ქოლგა თბილისი ფოტო 2013“-ის ფარგლებში, გალერეა „ლიჰტბლიკთან“ თანამშრომლობით და ბრიტანეთის საბჭო საქართველოს და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, „ქოლგა თბილისი ფოტო“ გამართავს ვორქშოფებს, სემინარებს, დისკუსიებსა და პორტფოლიოების განხილვებს. საგანმანათლებლო ღონისძიებები ჩატარდება ფოტოექსპერტების, კურატორების და ფოტოგრაფების ხელმძღვანელობით მთელი მსოფლიოდან, მათ შორის არიან სტუმრები ნიუ ორკიდან, ლონდონიდან, ვაშინგტონიდან, ჰონგკონგიდან, კიოლნიდან. განათლების სექციის განვითარება „ქოლგა თბილისი ფოტოს“ ფარგლებში ხაზს უსვამს ჩვენს ხედვას, რაც ფოტოხელოვნების, როგორც საქართველოში მედიის ერთი ახალი ფორმის, კიდევ უფრო პოპულარიზაციასა და განვითარებას გულისხმობს, – აღნიშნავს ბესო ხაინდრავა.

ხელოვნებათმცოდნე ლიკა მამაცაშვილი ხშირად იხსენებს, რომ მას ერთხელ ალექსანდრე საკოვმა უთხრა, „თუკი მართლა გაინტერესებს, რას წარმოადგენს დოკუმენტური ფოტოგრაფია და რეპორტაჟი, შეისწავლე გოგი ცაგარელი“. ალექსანდრე როინაშვილის სახელობის პრემია გასულ წელს სწორედ გიორგი ცაგარელს მიენიჭა დოკუმენტური ფოტოს განვითარებისა და სრულყოფისთვის.

– რამდენიმე ფოტოგრაფს, რომელთაც გოგი ცაგარლის შესახებ ვკითხე აზრი, ერთადერთი განმარტებით მპასუხობდნენ: ის ფანტასტიკურია! ალბათ ამაზე მარტივი და სრულყოფილი დახასიათება რთული მოსაძებნია, – ასე იხსენებს ლიკა მამაცაშვილი შარშანდელ პრიზიორს. ვინ გახდება წელს ამ პრიზის მფლობელი, მაისის თვეში შევიტყობთ.

გამარჯვებულებს წელს გამოავლენს ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დავით ცხადაძე (საქართველო, თბილისი), მიმი მოლიკა (ინგლისი, ლონდონი), თინა შელჰორნი (გერმანია, კიოლნი) და ვოლფგანგ ცურბორნი (გერმანია, კიოლნი).

ფოტოკონკურსის ფარგლებში დაგეგმილია გამოფენები, რომლებიც ათი დღის განმავლობაში სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში გაიმართება. პირველ მაისს თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“ წარმოდგენილი იქნება ვინსენტ ჩიანის (აშშ) ფოტოგამოფენა „ვსრიალებთ ბოლომდე“ და მარკ ასნინის (აშშ) „ბიძია ჩარლი“. 2 მაისს გალერეა „გვირაბში“ ვოლფ ბიოვიგი (გერმანია) გამოფენს საკუთარ ნამუშევრებს სახელწოდებით „მიგოზარდი – ეს გაივლის“ ამერიკელ ფოტოხელოვანთან ლუი პალუსთან ერთად. ამ უკანასკნელის ფოტონამუშევრების სახელწოდებაა „საბრძოლო სეზონი“. 3 მაისს ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება გამოფენა „ჩინური ისტორიები“ და ამერიკელი ხელოვანის ბენედიქტ ჯ.ფერნანდესის „ცხოვრების კადრები“. 4 მაისს ესპანელი ჯონ კაზენავეს „გალერნა“ სტუდია „არტ ავენიუში“ იქნება წარმოდგენილი. 7 მაისს ხელოვნების ცენტრში „რუბიკონი“ ესპანელი ფოტოხელოვანი მანელ ესკლუსა გამოფენს ნამუშევრებს და მათ უწოდებს „ულს ატურატს“. ფოტოგამოფენების პარალელურად, ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება ვორქშოფები, რომელსაც მარკ ასნინი, ვინსენტ ჩიანი, მიმი მოლიკა, ლუი პალუ, კურტ ტონგი და ვოლფგანგ ცურბორნი წარადგენენ. ფორქშოფები ჩატარდება სხვადასხვა თემებზე, მათ შორის, „ამბის თხრობა“, „ფოტო რეპორტაჟის ხელოვნება“, „ფოტოების მიმოხილვა და საკუთარი უნარების დახვეწა“, „ხანგრძლივი პროექტები“, „ნაცნობის“ მოხელთება, ყველას თავისი ისტორია აქვს და „თბილისის ქუჩებში.

„ქოლგა თბილისი ფოტოს“ ეგიდით ასევე მოეწყობა მიმი მოლიკასა და ლუი პალუს ლექციები თემებზე „ჩემი ცხოვრება სურათებში“ და „კონფლიქტის ვიზუალური დიალოგი“. ფოტოკონკურსი მოიცავს პორთფოლიოების განხილვასაც.

როგორც ფოტოკონკურსის დამფუძნებელი ბესო ხაინდრავა აცხადებს, საუკეთესოების გამოვლენა და გამარჯვებულთა დაჯილდოება 10 მაისს, „ქოლგა თბილისი ფოტოს“ დასკვნით ღონისძიებაზე გაიმართება.

# ხელნაწერის მინიატურის რესტავრაციისას საბუთის დედანი აღმოაჩინეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XVI საუკუნის გულანის რესტავრაციისას, წმინდანების მინიატურის ზურგზე, ქართლის კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორისშვილის მიერ გაცემული დოკუმენტის დედანი სრული სახით აღმოჩნდა. იგი წარმოადგენს მოხსენებას სამთავისის ეკლესიის მდგომარეობისა და ზოსიმე სამთავნელის დამსახურების შესახებ.

– დადგინდა, რომ საბუთი ავტოგრაფია და ახლავს ხელრთვა. სავარაუდოდ, ნიკოლოზმა მოხსენება 1692-1695 წლებში დაწერა. აღსანიშნავია, რომ ამ დედნის პირი ეროვნული არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში ინახება და გადაწერილია შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტ ნიკიფორე ჯორჯაძის მიერ. დედნის აღმოჩენა მნიშვნელოვანი შენაძენია არქივისათვის, რადგან, სავარაუდოდ, კათალიკოს ნიკოლოზის ავტოგრაფი აქამდე არ არის ცნობილი, გარდა ამისა, მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ამავე ხელნაწერის კიდევ ერთი მინიატურის – ხარების – რესტავრაციისას, ასევე აღმოჩენილია წარწერა: „მეორედ საყდრისა მაშენებელსა დიდს ებისკოპოზს კახსა თავადსა ვაჩნაძესა შეუნდნეს ღ(მერ)თმან. პირველსა ებისკოპოზსა წალენჯიხელსა პეტრეს“. ეპისკოპოსი ვაჩნაძე, სავარაუდოდ, ნიკოლოზ ვაჩნაძე მოხსენიებულია შიომღვიმის მონასტერში 1812-1814 წლებში. XVI საუკუნის გულანი, ანუ, საღვთისმეტყველო-ლიტურგიკულ თხზულებათა კრებული, როგორც მისივე მინაწერებიდან ირკვევა, ეკუთვნოდა ლევან დადიანს, შემდეგ ხელნაწერი მოხვედრილა ქართლის კათალიკოს ნიკოლოზ ამილახორისშვილის ხელში, რომელმაც გულანი 1706 წელს შესწირა შიომღვიმის მონასტერს. წიგნი ეროვნულ არქივში 1923 წელს შიომღვიმის მონასტრიდან გადმოიტანეს. ხელნაწერი შემკულია მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული საუფლო დღესასწაულთა სცენებით, – ამბობს ეროვნული არქივის წარმომადგენელი თეა ქიმერიძე.

მისივე თქმით, 2012 წლის ნოემბერში წიგნი სარესტავრაციოდ გადაეცა ეროვნული არქივის ლაბორატორიას. რესტავრაციაზე ორი სპეციალისტი მუშაობს. მიმდინარეობს ხელნაწერის თითოეული ფურცლის რესტავრაცია-კონსერვაცია, ასევე, მინიატურების რესტავრაცია და საღებავების გამაგრება.

– ხელნაწერის დაშლის შემდეგ გაირკვა, რომ მინიატურების ფორმატი უფრო დიდი იყო, ვიდრე ნაწერი ფურცლებისა, ამიტომ ისინი წიგნში ჩაკეცილი სახით იყო ჩაკერებული. ნახატის გადაკეცილი ნაპირები გასწორდა, რითაც, შეძლებისდაგვარად, შეივსო მინიატურების კომპოზიციები. ამით დასტურდება, რომ ნახატები განკუთვნილი იყო სხვა ხელნაწერისთვის და გულანში ჩაკერების დროს ის გაუთანაბრეს ხელნაწერის ფურცლების ზომას. ყველა ეს ცნობა, რომელიც შეგროვდა გულანის რესტავრაციის პროცესში, სპეციალისტებს აფიქრებინებს, რომ წიგნის მოხატულობა შექმნილია არა XVI საუკუნეში, არამედ XVII საუკუნის ბოლოს, მას შემდეგ, რაც კათოლიკოსმა ნიკოლოზმა მოხსენება დაწერა და მხატვარმა საბუთის ზურგი გამოიყენა დასახატად. ამის შემდეგ, დაახლოებით 1798-1814 წლებში, უკვე ნახატის ზურგიდან გადაიწერა პირი. ხოლო შემდეგ ნახატებს გასამაგრებლად ზურგზე მიაკრეს ქაღალდი და ისე ჩააკერეს გულანში, რითაც საუკუნეზე მეტხანს დაიფარა ნაწერები, – განმარტავს ეროვნული არქივის წარმომადგენელი.



როგორც ეროვნულ არქივში აცხადებენ, წიგნის სრული აღდგენა მიმდინარე წელს დასრულდება და ეს უნიკალური ხელნაწერი კიდევ საუკუნეებს გაუძლებს.

# თამარ გვერდწითელს ვარსკვლავი გაუხსნეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე



ტელოზე დაქორწინდა, რომელთანაც მხოლოდ ოთხი წელი იცხოვრა და 2005 წელს გაეყარა. თამარ გვერდწითელი საქართველოში ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიურად ჩამოდიოდა, მან კონცერტი გამართა ბათუმში პიაცას მოედანზე მიშელ ლეგრანთან ერთად, სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში „მზიურის“ ვარსკვლავის გახსნაზე, გასულ წელს კი დიდ საკონცერტო დარბაზში სოლოკონცერტიც გამართა. ამჯერად უკვე თავის ერთგულ სასცენო პარტნიორთან ერთად უბრუნდება თბილისს და მადლიერი მსმენელისგან საჩუქრად ვარსკვლავსაც მიიღებს.

თამარ გვერდწითელის კონცერტის საპატიო სტუმარი დიმიტრი დიუჟევი რეჟისორი და თეატრისა და კინოს მსახიობია. ის 35 წლისაა და მსმე-




ნელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ესტრადაზე გამოჩენამდე იგი აქტიურად მსახიობობდა და სხვადასხვა ფილმებშიც აქვს მონაწილეობა მიღებული, იგი ჩეხოვის სახელობის თეატრის მსახიობია. პროექტის „ორი ვარსკვლავი“ მონაწილეობის შემდეგ მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, ამ პროექტში გამარჯვების შემდეგ მან საკუთარ თავში მომღერლის ნიჭიც აღმოაჩინა და მას შემდეგ თამარ გვერდწითელთან ერთად მართავს კონცერტებს და გასტროლებზეც აქტიურად დადის. მომღერალს ჰყავს მეუღლე ტატიანა და 5 წლის ბიჭი ივანე. დიმიტრი დიუჟევი საქართველოში პირველად ჩამოდის და როგორც დავით ოქიტაშვილი ამბობს, მას დიდი მოლოდინი აქვს, განსაკუთრებულად ელოდება ქართველ მსმენელთან შეხვედრას და საქართველოში ჩამოსვლას.

თამარ გვერდწითელისა და დიმიტრი დიუჟევის კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 20 თებერვალს დაიწყო და ელვის სისწრაფით გაიყიდა.

– თამრიკო გვერდწითელი გასცდა ყველას და ყველაფერს, ეს არის ქართველი მომღერალი, რომელმაც კარნეგი ჰოლში იმღერა, ასეთი მე მგონი საქართველოში არავინ გვყავს. მომღერლების მოღვაწეობაში ეს გადამწყვეტი რამ არის, სულ რომ არაფერი გააკეთო, უკვე ისტორიაში შედიხარ. თამრიკო გასცდა ყოველგვარ საზღვრებს და ვარსკვლავის გახსნასაც ნამდვილად იმსახურებდა. რამდენი წელია კონცერტებს ვაკეთებ და ასეთი რამ ჯერ არ მახსოვს, მან ყველანაირი რეკორდი მოხსნა. კონცერტამდე 10 დღით ადრე ბილეთები უკვე აღარ იყო. მისი კონცერტის ბილეთის ფასი 30-დან 70 ლარამდე მერყეობდა. საზღვარგარეთ მისი კონცერტების ბილეთები უფრო ძვირი ღირს, ჩვენ ვეცადეთ მაქსიმალურად შეღავათიანი ფასი დაგვედო, რომ მაყურებელს მოსვლა შეძლებოდა. მივხვდი, რომ თუ ნორმალურ, გემოვნებიან ღონისძიებას შესთავაზებ საზოგადოებას, ყველანაირ თანხას გადაიხდის. რა თქმა უნდა, ასტრონომიულ თანხებზე არ მაქვს ლაპარაკი. მან მოხსნა საქართველოში ყველანაირი რეკორდი, მახსოვს, რომ საქართველოში ღონისძიებებზე 5-4-3 დღით ადრე არ იყო ბილეთები, მაგრამ 10 დღით ადრე, რომ ბილეთები აღარ იყოს, ასეთი ღონისძიება არ მახსოვს. ეს კონცერტი ტელეკომპანია „იმედის“ დაარსებიდან 10 წლის იუბილეს ფარგლებში ჩატარდა. ვიცი, რომ დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებიც. თამარ გვერდწითელის კონცერტი ამ ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი ცენტრალური მოვლენა გახდა.

მომღერალმა დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და სრულიად საქართველოს ასეთი სითბოსა და სიყვარულისთვის. თამარ გვერდწითელმა პირობა დადო, რომ საქართველოში კიდევ უფრო ხშირად ჩამოვა და თავისუფალ დროს თავის საყვარელ ადამიანებს დაუთმობს.

# ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი ბეირუთში წავიდა

ეკა ირემაშვილი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი საგასტროლოდ ლიბანში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების მე-20 საერთაშორისო ფესტივალში.

ფესტივალი, რომლის მუსიკალური ხელმძღვანელია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო, 19 თებერვალს დაიწყო და 27 მარტამდე გასტანს.

ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის, ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი 2011 და 2012 წლებშიც წარსდგა მრავალფეროვანი პროგრამით. გასული წლების წარმატების დასტურია ახლანდელი მიწვევა. ამჯერად, ორკესტრი სამ კონცერტში მიიღებს მონაწილეობას. 23 და 25 მარტს აჟღერდება ვერდის „რეკვიემი“, რომელშიც ცნობილ ქართველ მომღერალთან მეცო-სოპრანო ნინო სურგულაძესთან ერთად იმღერებენ სოპრანოები – კრისტინა ნასიფი (23 მარტი), ჯოის ელ ხური (25 მარტი), ტენორი დარიო შმუნკი, ბანი მიგელე ბიანჩინი. ამ მომღერლებს თბილისის ოპერის თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად პარტნიორობას გაუწევენ ლიბანის ეროვნული კონსერვატორიის, ანტონინისა და ნოტრდამის უნივერსიტეტების გუნდები.

27 მარტს კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი მონაწილეობას მიიღებს ალ ბუსტანის მე-20 საერთაშორისო ფესტივალის დასკვნით გალაკონცერტში, რომლის პროგრამით აჟღერდება ფრაგმენტები ვერდის ოპერებიდან „აიდა“, „რიგოლეტო“, „ერნანი“, „სიცილიური მწუხრი“, „ლუიზა მილერი“, „კორსარი“, „ობერტო, სან ბონიფაჩოს გრაფი“, „ბედის ძალა“, „ტრავიატა“. ზემოთ აღნიშნულ მომღერლებთან ერთად გალაკონცერტში ასევე იმღერებენ სოპრანო მარტინა ზადრო და ბარიტონი ოზრენ ბილუსიკი.

სამივე კონცერტს თბილისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი და ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი ჯანლუკა მარჩანო იდირიჟორებს.

## სკანვორდი



1. ხორციანი კორკოტი; 2. აზრი, ჩანაფიქრი; 3. სტალონეს კინოროლი; 4. პერიოდული გამოცემები; 5. თეთრი საკვები სითხე; 6. გარიჟრაჟი; 7. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი; 8. წილი ბიზნესში; 9. სახელმწიფო აფრიკაში; 10. ნიშნის მოგების გამომხატველი შორისდებული; 11. ეგვიპტელთა მზის ღმერთი; 12. ამხანაგობა, ხელოსანთა გაერთიანება; 13. მეფისდროინდელი ყაჩაღი გურიაში; 14. აშშ-ს სამხედრო უწყება; 15. ... დელონი; 16. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 17. ჭადრაკის ფიგურა; 18. სასმისი; 19. ნაბიჯი ბალეტში; 20. კურორტი აშშ-ში; 21. ვენესა ...; 22. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 23. ტყავის თხელი ფენა რისამე ზედაპირზე; 24. ბეთჰოვენის სონატა; 25. საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 26. წრეწირის ნაწილი; 27. სახელმწიფოს დიპლომატიური მიმართვა მეორე სახელმწიფოსადმი; 28. სისხლის სამართლის დანაშაული; 29. სპორტული შეჯიბრების დაწყების მომენტი; 30. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 31. ხანა, ეპოქა; 32. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა სოფელი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფუტზალი; 2. მადაფათა; 3. „სოკარი“; 4. „პორტუ“; 5. ნიკოტინი; 8. კარაკასი; 12. „ნანა“; 13. ტრაქტატი; 14. ანდები; 16. ბესელია; 18. გრენა; 29. ჭაჭა.

**თარაზულად:** 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. „კახასა“; 9. პალმა; 10. მალარიჩი; 11. პლანტაჟი; 15. „ბრიჯსტოუნი“; 17. ხარაძე; 19. ბურჭულაძე; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. ქარაგმა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ურუგვაი; 2. ბასტრი; 3. ბაბანეური; 4. ხვიფლი; 5. „რისლინგი“; 7. აბიო; 11. ტაიფუნი; 13. „ადიდასი“; 15. „ოპეკი“; 16. კოლიე; 18. სინჯი; 19. გენია.

**თარაზულად:** 6. რეგატა; 8. „გალუაზი“; 9. პრიმასი; 10. ვიკონტი; 12. კირხე; 14. გიბონი; 17. რეიხსტაგი; 20. ქლუხორი; 21. სკვერი; 22. ჯეჯილი; 23. ფეხბურთი.

# „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში იკა ქადაგიძის წიგნის – „ქართული კორიდის“ – განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში იკა ქადაგიძის ახალი წიგნის – „ქართული კორიდის“ – განხილვა გაიმართა.

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ ახალი, გაზაფხულის სეზონი სწორედ ამ ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების კრებულის წარდგინებით გახსნა.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, პოეტს, პროზაიკოსსა და პუბლიცისტ იკა ქადაგიძეს ყველა კარგად იცნობს. არის ექვსი წიგნის ავტორი. მისი თქმით, მწერალი ვალდებულია წეროს პუბლიცისტური წერილები. ასე იყო ევროპაში და ასე იყო მე-19 საუკუნის საქართველოში. აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას მეტი პუბლიცისტური წერილი აქვთ დაწერილი, ვიდრე ლექსები და მოთხრობები.

„ძალიან სასიხარულოა, რომ იკა ქადაგიძე წერს წერილებს და ჩვენი მწვავე, ქაოტური რეალობით არის დაინტერესებული. მისი წერილები დოკუმენტურ პროზად იკითხება. სამწუხაროდ, მწერლები პირუთვნელ შეფასებას გაურბიან ხოლმე. იკა ქადაგიძე კი ყოველთვის სიმართლისაკენ ისწრაფის. ის, რასაც იგი წერს, არის გულწრფელი, დაუშოშმინებელი“, –– აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

მომხსენებელმა ნათია მეგრელიშვილმა წიგნზე საუბრისას ყურადღება, უპირველესად, იმაზე გაამახვილა, რომ სუსტი მხედველობის გამო წვრილი შრიფტით დაბეჭდილმა წიგნმა ძალიან შეაშფოთა, მაგრამ მისმა კითხვამ იმდენად ჩაითრია, რომ ის მეორე დღესვე დასრულებული ჰქონდა. მისი თქმით, მისთვის ძალიან სასიამოვნოა იმ ჟანრზე საუბარი, რომელიც მას ძალიან უყვარს.

„ეს არ არის მხატვრული პუბლიცისტიკა და რომანტიკული წიგნი, რომელმაც შეიძლება მოგასვენოს ან დაგასვენოს. პირიქით, ის განერვიულებს, გაშფოთებს, მწვავე რეაქციებს იწვევს, რადგან მისი ბევრი მთავარი გმირი ჩვენი თანამედროვეა. თითოეული სერიოზული ბიოგრაფიის მატარებელია. მწერლის არჩევანი ძალიან მრავალფეროვანია. აქ ყველანაირ ადამიანს შეხვდებით, ვინც ცხოვრება იცის ან იცოდა, რა არის“, –– აღნიშნა ნათია მეგრელიშვილმა.

ნათია მეგრელიშვილის შეფასებით, წიგნის ავტორი ისტორიის სამარცხვინო ნაწილზე არასდროს ხუჭავს თვალს და ისტორიულ გამოცდილებას არ გაურბის. მეგრელიშვილის მოსაზრებით, ის არ არის რბილი, მატყუარა, მლიქვნელი მწერალი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ამასთან, მისი სიმართლე მკითხველამდე დელიკატურად, კორექტულად და ინტელიგენტურად მიდის.

მომხსენებელი მიიჩნევს, რომ შეუფერადებელი სიმართლისა და სიმწვავის გამო იკა ქადაგიძის წიგნს არაერთი ოპონენტი გამოუჩნდება.

სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები, მეცნიერები: ზოია ცხადაია, რუსუდან ჭანტურიშვილი, რუსუდან ნიშნიანიძე, თამარ ყალიჩავა, ჯემალ ქირია, აკაკი ბრეგვაძე, ციალა არდაშელია, სერგო ლომაძე, ჯუბა ღებელი, თემურ ცერცვაძე, თენგიზ ავსაჯანიშვილი, ირაკლი ავალიშვილი და ზურაბ თორია.

მედიანიუსი

# ორსული პენელოპა კრუსი ბარბადოსში ისვენებს



პენელოპა კრუსი, რომელიც მეორე შვილს ელოდება ბარბადოსში დასასვენებლად გაემგზავრა. მსახიობს მეუღლე, ჰავიერ ბარდემი დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო კუნძულზე ვერ გაყვა, ამიტომ პენელოპას ვაჟი, მეგობარი და ძიძა ახლავს თან. ვარსკვლავი ბარბადოსს კერძო თვითმფრინავით ეწვია და ყველაზე ძვირადღირებულ კურორტ „Suites Orchid“-ზე, კარიბის კუნძულის დასავლეთ სანაპიროზე დაბინავდა, სადაც ღამეში 1000 დოლარს იხდის. ვილაში ორი საძინებელი და კერძო აუზი შედის, თუმცა, როგორც ჩანს, კრუსი უპირატესობას ოკეანეს ანიჭებს. მსახიობი თავის პატარა ბიჭუნას, ლეოს ჯერ ცურვას ასწავლიდა, ხოლო შემდგომ შეზლონგზე წამოწოლილი მზეს ეფიცხებოდა, ამასთან მზისგან დამცავი საცხის წასმაც არ დაავიწყებია. შეგახსენებთ, რომ პენელოპა კრუსისა და ჰავიერ ბარდემის წარმომადგენლებმა ვარსკვლავის ორსულობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია თებერვლის შუა რიცხვებში გაავრცელეს. 38 წლის ესპანელი ქალბატონი ფეხმძიმობის მეოთხე თვეშია.

**atb.ge**

# სარა ჯესიკა პარკერის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლისთვის გაღებული მსხვერპლი

სარა ჯესიკა პარკერის მაღალი ქუსლების განსაკუთრებულ სიყვარულს უკვალოდ არ ჩაუვლია. 47 წლის მსახიობი მის მიერ განსახიერებული პერსონაჟის კერი ბრედშოუს მსგავსად, რეალურ ცხოვრებაშიც მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის დიდი თაყვანისმცემელია, რამაც საბოლოო ჯამში ვარსკვლავის ტერფის დეფორმაცია გამოიწვია. სარა იძულებულია ფეხსაცმელი მხოლოდ დაბალ ძირზე ატაროს. რაც შეეხება მის მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს, ისინი პარკერის გარდეორობში ინახება და მათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იცვამს. მსახიობს ექიმმა ტერფის პროგრესირებადი დაავადება დაუდგინა. „ათეულობით წლების მანძილზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით დავრბოდი. ჩემმა ფეხებმა მსოფლიო მომატარეს, მაგრამ ბოლოს მითხრეს: „იცი რა, ჩვენ ძალიან დავიღალეთ და შეგიძლია, რომ შეჩერდე?“

**atb.ge**

# ვლადიმერ პუტინი მეგობარ უგო ჩავესს იყენებდა

ვლადიმერ პუტინი უგო ჩავესს მეგობრად არ თვლიდა, იგი მას მხოლოდ ვენესუელასგან სარგებლის მისაღებად იყენებდა, ხოლო როცა იგი გარდაიცვალა, გამოუსადეგარი გახდა, – წერს ფრანგული გაზეთი „ლე მონდი“ და პასუხობს კითხვას, თუ რატომ არ წავიდა რუსეთის პრეზიდენტი კარაკასში ვენესუელას ლიდერის დაკრძალვაზე. იგივე აზრს იზიარებენ რუსი ბლოგერები.



„პუტინი არ წავიდა. იგი ჩავესს იყენებდა, მას არ მოსწონდა, რომ ჩავესი ღარიბებს ეხმარებოდა. პუტინი კი უპირატესობას მდიდრებს ანიჭებს. პუტინი და ჩავესი – ანტიპოდები არიან. ვენესუელა დიქტატურა არ არის, იქ არის ოპოზიცია, ნორმალური არჩევნები, ოპოზიციონერები რეგიონებში პოსტებს იკავებენ.

რუსეთში მსგავსი რამ შეუძლებელია“,– ციტირებს „ლე მონდი“ ერთ-ერთ რუსი ბლოგერის სიტყვებს.

რუსეთის პრეზიდენტის გულგრილობა უპატივცემულობად მიიღეს თვითონ რუსეთშიც. მაგალითად მოჰყავდათ სხვა ქვეყნების ლიდერები, რომლებიც პირადად ჩავიდნენ ვენესუელაში. მაგალითად, ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო, რომელიც გასვენებაში ცრემლებს ვერ იკავებდა.

ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესი 5 მარტს გარდაიცვალა. იგი ბოლო ორი წელი ონკოლოგიურ დაავადებას ებრძოდა, რომელიც 2011 წელს დაუდგინდა. რუსეთის პრეზიდენტი, რომელიც მის მეგობრად ითვლებოდა, ვენესუელას პრეზიდენტის დაკრძალვას არ დასწრებია. ვენესუელაში არ ჩასულა არც რუსეთის პრემიერ-მინისტრი.

პუტინმა ვენესუელის გარდაცვლილი პრეზიდენტი არაორდინარულ და ძლიერ პიროვნებად დაახასიათა, რომელიც რუსეთის ჭეშმარიტი მეგობარი იყო.

ჩავესის დაკრძალვას რუსეთიდან დაესწრო „როსნეფტის“ პრეზიდენტი და „როსნეფტეგაზის“ დირექტორთა საბჭოს მეთაური იგორ სეჩინი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი დენის მანტუროვი და „როსტექნოლოგიის“ გენერალური დირექტორი სერგეი ჩემეზოვი.

კარაკასი ლათინურ ამერიკაში რუსეთის მთავარი სტრატეგიული პარტნიორია.

# რომის პაპმა პირველი მესა ჩაატარა



რომის პაპმა ფრანცისკომ პონტიფიკის რანგში პირველი მესა ჩაატარა და წმინდა პეტრეს ტაძრის წინ შეკრებილებს ტრადიციული ქადაგებით მიმართა.

წმინდა პეტრეს მოედანზე, პაპის გამოჩენამდე რამდენიმე საათით ადრე, ათი ათასობით ადამიანი შეიკრიბა.

მესის შემდეგ პონტიფიკი მოედანზე შეკრებილებს მიესალმა და ქადაგებით მიმართა.

ფრანცისკომ შეკრებილებს გაახსენა, რომ სიკეთე ცვლის სამყაროს და მორწმუნეებს მოუწოდა, ახსოვდეთ, რომ უფალი, რომელიც მუდამ პატიობს, „არასოდეს იღლება“ ამის გაკეთებაში.

რომის პაპმა მორწმუნეებს მისთვის ლოცვა სთხოვა.

ამასთან, ცნობილი ხდება, რომ 1054 წლის შემდეგ პირველად, მსოფლიო პატრიარქი ბართლომე რომის ახალი პაპის ინაუგურაციას დაესწრება, რომელიც 19 მარტსაა დაგეგმილი, – ამის შესახებ ვატიკანის რადიო იუწყება.

კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ერთად, ცერემონიას წმინდა პეტრეს მოედანზე იტალიისა და არგენტინის მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავრები დაესწრებიან.

გასული წლის ივნისში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მის მიერ რომის მაშინდელი პაპის, ბენედიქტე მე-16-სადმი მიწერილ ეპისტოლეში იმედი გამოთქვა, რომ კათოლიკურ ეკლესიასთან დიალოგი გამყარდება.

# ჩინეთის მთავარი ლოზუნგი იქნება „ჩინური ოცნება“

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალმა მეთაურმა სი ძინპინმა, რომელიც სახელმწიფოს ლიდერად 14 მარტს აირჩიეს, განაცხადა, რომ იბრძოლებს „ჩინელი ხალხის აღორძინებისთვის“.



„ჩინური ოცნება“ იქნება მთავარი ლოზუნგი „ჩინური სპეციფიკის სოციალიზმის მშენებლობისას“, – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა და დასძინა, – „ჩინური ოცნების“ განხორციელებისას უნდა განვითარდეს ჩინეთის სული. ეს ეროვნული სულია, რომლის საფუძველი პატრიოტიზმია. ეს ასევე რეფორმების რეალიზაციის ეპოქის სულია, რომელიც ძლიერი სახელმწიფოს ასაშენებლად ეროვნული აღორძინების სწრაფვიდან გამომდინარეობს“.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლობის კრების დახურვის ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას, ლი ძინპინმა ასევე მიმართა შეიარაღებულ ძალებს და მოუწოდა აიმაღლონ ბრძოლისუნარიანობა, იყვნენ ძლიერნი და დისციპლინირებულნი.

მისივე თქმით, უმთავრეს პრიორიტეტად რჩება ქვეყნის ეკონომიკა.

ჩინეთის სახელმწიფოს ლიდერის განცხადებით, აუცილებელია კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება და სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა 1.3 მილიარდზე მეტი მოსახლით. ქვეყანაში არის ერთპარტიული სისტემა და მმართველობას ახორციელებს ჩინეთის კომუნისტური პარტია.

სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა მაო ძე-დუნმა 1949 წელს, მიღებულ იქნა საბჭოური ტიპის კონსტიტუცია. 1971 წლიდან გაეროს წევრია. 80-იან წლებში კომუნისტმა-რეფორმატორებმა გაატარეს ეკონომიკური რეფორმები და ჩინეთმა გიგანტური ნაბიჯებით იწყო წინსვლა, გაუმჯობესდა ურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან. რეფორმები არ შეხებია პოლიტიკურ სისტემას და თავისუფლებას. ცენტრალურ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს ტაივანთან და ტიბეტთან ურთიერთობებში.

# ავღანელები აშშ-ის სპეცრაზმის მიერ პროვინცია ვარდაკის დატოვებას მოითხოვენ

ქაბულში რამდენიმე ასეულმა ავღანელმა პარლამენტის შენობასთან საპროტესტო დემონსტრაცია გამართა. ისინი მოითხოვდნენ, რომ აშშ-ის სპეცდანიშნულების რაზმმა პროვინცია ვარდაკი დატოვოს.

ქვეყნის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ განკარგულება გასცა, რომ ამერიკის კომანდოსმა პროვინცია დატოვოს, რადგან ისინი შემჩნეულები არიან ადამიანების გატაცემაში და მათ წამებაში.

ქვედანაყოფის პროვინციიდან გასვლის ვადა გასულ კვირას ამოიწურა, თუმცა ქვეყნის პრეზიდენტმა ის გადაავადა, რადა მოხდეს უფლებამოსილების სრულფასოვანი გადაბარება.

ვარდაკის პროვინცია ქაბულის მიმდებარედაა და თალიბანის მიერ გამოიყენება, როგორც დედაქალაქში იარაღისა და საბრძოლო მასალების შეტანის მთავარი ბაზა.

შეგახსენებთ, ავღანეთის პრეზიდენტის განაცხადს, რომ აშშ ყატარში თალიბებთან მართავს მოლაპარაკებებს.

ასოშიეიტედ პრესის ინფორმაციით, მოლაპარაკებები თვითმკვლელების თავდასხმას ეხება, რომელმაც 19 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ჰამიდ ყარზაის თქმით, მოლაპარაკებები ემსახურება ერთ რამეს, ავღანელებს ანახონ, რომ 2014 წელს კოალიცის ჯარების მიერ ქვეყნის დატოვების შემდეგ ავღანეთის უშიშროების ჯარები თავად ვერ შეძლებენ გაუმკლავდნენ ვითარებას.

„აფეთქებებმა ქაბულსა და ჰოსტში აჩვენა, რომ ეს მომგებიანია ამერიკელებისთვის 2014 წელის პერსპექტივაში. ცდილობენ დაგვაშინონ, დაგვაფიქრონ, რომ ჩვენ მოგვიწევს ამ პრობლემების წინაშე დგომა, იმ შემთხვევაში თუ უცხოელები არ იქნებიან ავღანეთში“, – განაცხადა ავღანეთის პრეზიდენტმა.

თავის მხრივ, თალიბანი უარყოფს ინფორმაციას აშშ-ის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების თაობაზე, აშშ-ის ხელისუფლება კი ყარზაის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს.

ერთი წლის წინ თალიბანმა ბრალი დასდო აშშ-ს არათანმიმდევრულობაში და მოლაპარაკებები შეწყვიტა.

# რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობა აშშ-საგან ალიასკის დაბრუნებას ითხოვს




რეგიონთაშორისმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ „პჩიოლკიმ“, რომლის წევრებიც იყვნენ მარტის დასაწყისში ბავშვების დასაცავად გამართული მარშის ორგანიზატორები, მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა სარჩელით აშშ-ის ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ – რუსეთისათვის ალიასკის ნებაყოფლობით და დაუყოვნებლივ გადმოცემის თაობაზე. მოთხოვნის საბაბია პრეზიდენტ ობამას მიერ ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაცია. „პჩიოლკის“ წარმომადგენლები შეშფოთებულნი არიან იმ გარემოებით, რომ „ალიასკის მცხოვრებნი, რომლებიც 200 წლის მანძილზე ინახავენ ტრადიციებს და სიყვარულით ეპყრობიან მართლმადიდებლურ სულიერსა და კულტურულ ღირებულებებს, ვერ შეეგუებიან ამგვარ ცოდვიანობას“.

1867 წლამდე ალიასკა ეკუთვნოდა რუსეთს. აშშ-სათვის ამ ნახევარკუნძულის გაყიდვის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სპეციალურ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ ალექსანდრე მეორე, დიდი მთავარი კონსტანტინე, ფინანსთა მინისტრი, აგრეთვე რუსეთის დესპანი ვაშინგტონში.

ალასკა, შტატი აშშ-ში, მდებარეობს წყნარი ოკეანის რეგიონში. სახელი ინუიტების ენაზე „კონტინენტს“ ნიშნავს. 1741წ – აღმოაჩინა კაპიტანმა ვიტუს ბერინგმა. 1744 – რუსეთის კოლონია გახდა. 1845 – 1838 ათასი მოსახლე იყო, მათ შორის 640 რუსი. 1867 – იყიდა აშშ-მ 7,2 მლნ დოლარად. 1884 – ოლქი. 1912 – ტერიტორია. 1958 – აშშ-ს შტატი.

ფართობი – 1,477 ათასი. განლაგებულია ალასკის ნახევარკუნძულზე და ალეუტის კუნძულებზე. აქ მდებარეობს ამერიკის უმაღლესი მწვერვალი მაკ-კინლი (6.194 მ).

მოსახლეობა – 651 ათასი (თეთრი 74 %, აფროამერიკელი 3,9 %, ლათინოამერიკელი 3,3 %, ინდიელი, ალეუტი და ინუიტი 15,4 %, აზიელი 3,4 %).

ქალაქის მოსახლეობა – 64,5 %.

ქალაქები – ჯუნო (დედაქალაქი), 30 ათასი, ანკორიჯი, 282 ათასი, ფერბენკსი, 34 ათასი.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



მშობლები ჯამბულ ბასარია, თინა გულუა, ბაბუა კონსტანტინე ბასარია, ბებია ნათელა ჭანტურია, ძმა ბატატო ბასარია, და შორენა ბასარია, ბიძები კობა, ბაკური, დავით გულუები, მამიდები ლალი და დალი ბასარიები, დეიდა მზიური გულუა, სიძეები ზურაბ აკობია, ბუთა მიქაია, ზურაბ ცატავა, ვალერი ჭითანავა და სხვა ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბაადურ ბასარია**

პანაშვიდი: 17, 18 მარტს, თბილისი, ნაძალადევი, იფნის ქ. 27.

გამოსვენება: სამშაბათს, 19 მარტს, 14 საათზე, წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრიდან (ვაჟა-ფშაველას გამზირი 33, სამედიცინო უნივერსიტეტის ეზო).

დაკრძალვა: ლისის ტბის მისასვლელთან არსებულ სასაფლაოზე.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ორშაბათი 18 მარტი

06.30 დ/ფ ,“მომეცით ხმა“ 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ადამიანი – პლანეტა“ 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 დ/ფ „ისტორიის შექმნა“ — განგსტერები 21.00 სპორტული პროგრამა — „ევროპა 2013“ — სპეცგამოშვება (პ/რ) 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „კომენტატორი“ 00.00 „საფარი“ 00.30 მხ/ფ „პირადი მცველი“ (ტიტ.) (უ.ჰიუსტონი) 02.50 დ/ფ „ მშვიდობით ამხანაგებო“

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „სან-ფრანცისკო“ 09.00 მხ/ფ „სულელების ოქრო“ (კ.ჰადსონი) 10.45 მხ/ფ „სიყვარულის ამბავი“ (ა.ბენინგი) 12.30 მხ/ფ „კომიკოსები“ (პ. ვილაჯო) 14.00 დ/ფ „სიცოცხლე“ 5 ნაწ. 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა“ 7 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ 2 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ.„იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 6“ 14.40 კონცერტი: „ვალერი მელაძე პიაცაზე“ 16.00 სერ.„დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი“ 9 სერ. 23.00 მხ/ფ „შეცვლა“ (ჯ.გოლდბლუმი) 01.05 მხ/ფ „ქვის მთლელი“ (ჯ.პაკულა) (ტიტ) 02.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეკილები 17.00 სერ.„ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ“ერთგულების ძალა“ 22.00 ქ.მხ/ფ „ცელქი ბავშვები“ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 კონცერტი-აღდგომიდან ამაღლებამდე „სანკტუსი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ „წმინდა ოთხთავი“ I ნაწ. 14.05 კონცერტი-ვერდის რექვიემი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.25 დოკ/ფ „მესაზღვრე ბერები“ 17.05 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 17.20, 19.20, 01.00 ანდრია კრიტელის კანონი 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.35 დოკ/ფ „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 საქართველოს ისტორია 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმსახურო წელიწადი 23.40 კვირიაკეს სიუჟეტი „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ მეუფე ანანია 00.30 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმრები 01.35 დოკ/ფ „ხვამლი“

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 „ყოველდღიური აბები“ 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“ 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6583

ევრო — 2,1657

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5128

100 რუსული რუბლი — 5,3982

## ამინდის პროგნოზი 18 მარტისთვის





## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 1
უძველესი დროიდან VI საუკუნემდე

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 2
VI-XI საუკუნეები

22 თებერვლიდან იყიდება
პირველი და მეორე ტომები
1 მარტიდან
მესამე ტომი
5 მარტიდან
მეოთხე ტომი

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 4
XVII-XX საუკუნეები

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
ტომი 3
XII-XVI საუკუნეები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55


## ასტროპროგნოზი
18 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — დღეს ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ; **კურო** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე; **ტყუპები** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მაგრამ ცოტა მაინც შემოინახეთ; **კირჩხიბი** — სახლში მსხვილი შენაძენი და სხვა ახალი ამბავი გელით; **ლომი** — სადარდებელი არაფერი გაქვთ, იმხიარულეთ; **ქალწული** — არ აჰყვეთ სხვების აზრებს, თავს მიხედეთ; **სასწორი** — შედით სხვის მდგომარეობაში, მარტო საკუთარ თავზე ფიქრი არ გარგებთ; **მორიელი** — მშვენიერი დღეა, ყველაფერი კარგად არის; **მშვილდოსანი** — სერიოზული ნაბიჯის გადადგმისას კარგად დაფიქრდით; **თხის რქა** — დაისვენეთ, გაერთეთ, ენერგია აღიდგინეთ; **მერწყული** — რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგისწორებთ, პრობლემა არ გაქვთ. **თევზები** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გაქვთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. შტატი აშშ-ში; 4. ეკლებიან ღეროიანი ტროპიკული მცენარე; 7. ლაბორატორიული დანაყოფებიანი ჭურჭელი; 9. მათემატიკური დებულება, რომელსაც დამტკიცება სჭირდება; 10. ლოგინის ნაწილი; 12. პოლიციის უფროსი ზოგ ქვეყანაში; 16. ღოლნაშოს სახეობა; 17. რისამე ჩამოთვლა; 18. სხვადასხვა ჯიშის ცხოველების შეჯვარება; 20. ლითონის ფულის უკანა მხარე; 21. ლანგარი; 22. კავშირი, ურთიერთობა.

**შვეულად:** 1. კუდიანი ვარსკვლავი; 2. მხარე დასავლეთ საქართველოში; 3. გადასატანი ქეჩის კარავი; 5. ბოლქვიანი მცენარე (ყვავილი); 6. კურორტი ხაშურის რაიონში; 8. ურანის თანამგზავრი; 11. ადგილი, რაიმე დამანგრეველი ძალის კერის თავზე; 13. სანთელი; 14. ელექტრული გამტარობის ერთეული; 15. სასტამბო შრიფტი; 19. ბერძნული ანბანის ასო.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# თამარ გვერდწითელს ვარსკვლავი გაუხსნეს

ეკა ირემაშვილი

თბილისში თამარ გვერდწითელს ვარსკვლავი გაუხსნეს. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ რიგით 27-ე ვარსკვლავის მფლობელი სწორედ უცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი გახდა.

ვარსკვლავის გახსნამდე დიდ საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა, სადაც მაყურებლის დიდი ნაკადის გამო სკამების ჩამატება გახდა საჭირო. თამარ გვერდწითელმა შეკრებილი საზოგადოებისთვის იმღერა როგორც ქართული, ასევე უცხოური სიმღერები, შეასრულა დუეტი თავის პარტნიორთან პროექტში „ორი ვარსკვლავი“ დიმიტრი დიუჟევთან და ასევე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საგალობლები „ავე მარია“ და „ალილუია“ იმღერა. დიმიტრი დიუჟევი საქართველოში პირველად ჩამოვიდა და თან პროდიუსერი და მეუღლე ჩამოიყვანა.

კონცერტის ორგანიზატორმა დავით ოქიტაშვილმა საპატიო სტუმარს თეთრი ჩოხა აჩუქა. საქველმოქმედო კონცერტის დასასრულს კი საზეიმო ვითარებაში თამარ გვერდწითელის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა.

— ეს მართლაც იყო გამორჩეული და სრულიად ახლებური საკონცერტო პროგრამით წარმოდგენილი კონცერტი, რომლის რეჟისურაც დავით დოიაშვილს ეკუთვნის. თამარ გვერდწითელმა შეასრულა ყველა ცნობილი სიმღერა, რომელიც იცის მსმენელმა. სცენაზე გვერდწითელთან ერთად იმღერეს ანსამბლმა „შვიდკაცა“, საპატრიარქოს მგალობელთა გუნდმა, დიმიტრი დიუჟევმა და დაუკრა „სიმებიანმა კვარტეტმა“. კონცერტის დაწყებამდე ნაჩვენები იქნა 10-წუთიანი დოკუმენტური ფილმი თავად მომღერლის შესახებ. ფილმში წარმოდგენილ იქნა საინტერესო კოლაჟი მომღერლის სასცენო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი იყო. კონცერტის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კონცერტზე მისულმა ყველა სტუმარმა წითელ ხალიჩაზე გაიარა, — განაცხადა დავით ოქიტაშვილმა.




მოსკოვში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა თამარ გვერდწითელმა პოპულარობა პატარაობიდანვე მოიპოვა და ეს ანსამბლის „მზიური“ დამსახურებაა. მან სწავლა კონსერვატორიაშიც განაგრძო და ფორტეპიანოსა და საკომპოზიციო განათლებას დაეუფლა. მომღერალმა 19 წლის ასაკში გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში „წითელი მიხაკი“ სოჭში, მან მონაწილეობა მიიღო პოპმუსიკის კონკურსში დრეზდენში, სოფიაში გამართულ კონკურსზე „ოქროს ორფევსი“ გამარჯვება მოიპოვა, მონაწილეობდა სან-რემოსა და სოპოტის ფესტივალებშიც. ახლა კი თავადაც ხშირად უწევს სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალებისა თუ კონკურსების ჟიურიში ყოფნა და ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა. მომღერალი საქართველოს, რუსეთისა და ინგუშეთის სახალხო არტისტია. მას აქტიური თანამშრომლობა აკავშირებს მიშელ ლეგრანთან, რომელმაც საფრანგეთს ასე მიმართა: „პარიზო! დაიმახსოვრე ეს სახელი“ და მართლაც ქართველმა მომღერალმა შეძლო პარიზისა და მთელი მსოფლიოს დაპყრობა. ამ დროისთვის მომღერალი საოპერო ხელოვნებითაც არის დაკავებული. იგი ასრულებს კარმენის არიას დნეპროპეტროვსკის საოპერო თეატრში, მას იღებენ კინოში, მღერის სხვადასხვა კონცერტებზე, ატარებს კონცერტებს დიმიტრი დიუჟევთან ერთად, სამი წლის წინ კი მისმა დებიუტმა მონოსპექტაკლში დიდი წარმატებით ჩაიარა. თამარ გვერდწითელი მსმენელს იმითიც აღაფრთოვანებს, რომ ასრულებს სიმღერებს ქართულ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, ინგლისურ, ივრითულ, უკრაინულ, გერმანულ და სომხურ ენებზე.

რაც შეეხება თამარ გვერდწითელის პირად ცხოვრებას, მისი პირველ მეუღლე ქართველი რეჟისორი გიორგი კახაბრიშვილია, მათ საერთო ვაჟი სანდრო ჰყავთ, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ სწავლობს და ლონდონში სწავლობს. მომღერალმა მეორედ ბედი დიმიტრის დაუკავშირა, რომელიც პროფესიით ადვოკატი იყო,. მისი მეორე ქმარი გულის უკმარისობით გარდაიცვალა. მესამედ კი თამარ გვერდწითელი კარდიოქირურგ სერგეი ამბა-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


# ფოტოკონკურსი „კოლგა“ იწყება

ეკა ირემაშვილი

ყოველწლიური ფოტოკვირეული „კოლგა თბილისი ფოტო 2013“ სტარტს იღებს. მისი წარმდგენები არიან თბილისის მერია, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და „თიბისი“ ბანკი.

— „კოლგა თბილისი ფოტო 2013“ წელს მეთორმეტედ გაიმართება. ფოტოკვირეული რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, ფოტო კონკურსი, საგანმანათლებლო ლექციები ფოტოხელოვანთათვის და გამოფენები. „კოლგა თბილისი ფოტოს“ კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს 25 მარტამდე შეუძლიათ, ხოლო ლექციებზე დასწრების მსურველებს — 20 აპრილამდე. „კოლგა თბილისი ფოტო“-ს დასკვნითი ეტაპი გაიმართება 1-10 მაისს. საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციის განმტკიცებისთვის, ფოტოკონკურსი გამოცხადდა უცხოეთშიც — როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე ევროპაში. ბოლო ორი წელია, კონკურსის საუკეთესო ნამუშევრები გერმანიაში, ქალაქ კიოლნში, გალერეა ლიჰტბლიკში იფინება, — აცხადებს კონკურსის დამფუძნებელი ბესო ხაინდრავა.

წელს საპრიზო ფონდი 10.000 ლარით განისაზღვრა. ეს თანხა ოთხ ნომინაციაში გამარჯვებულებს თანაბრად გაუნაწილდება. ფოტოკვირეულის ფარგლებში, ტრადიციულად დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენის მოწყობა, ევროპელი და ამერიკელი ფოტოგრაფების მოწვევა, რომლებიც თანამედროვე ფოტოგრაფიით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან საგანმანათლებლო შეხვედრებს ჩაატარებენ.




— ქართველ ფოტოგრაფებს და ფოტომოყვარულებს შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ მსოფლიო მნიშვნელობის ფოტოგრაფებსა და მათ შემოქმედებას და საკუთარი ნამუშევრები გააცნონ უცხოელ ექსპერტებს. არასაკონკურსო პრიზი — ქართული ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, დახურვის ცერემონიალზე, პრემიასთან ერთად, საქართველოში მოღვაწე ღვაწლმოსილ ფოტოგრაფს გადაეცემა. ფოტოკვირეული


გაგრძელება მე-9 გვერდზე